- 6 Rechtsgeschichte als Kulturgeschichte. 1976. Festschrift für Adalbert Erler zum 70 Geburtstag. Unter Mitwirkung von Adolf Fink hg. von Hans Jürgen Becker, Gerhard Dilcher, Gunter Gudian, Ekkehard Kaufmann, Wolfgang Sellert. Their A., 2015. Zwischen Kultur, Herrschaftsordnung und Dogmatik: Erkenntnisdimensionen rechtshistorischer Forschung. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 23. S. 271.
- 7 Rudolph H., 2004. Rechtskultur in der Frühen Neutzeit. Perspektiven und Erkenntnispotentiale eines modischen Begriffs. in: Historische Zeitschrift 278. S. 356.

ფირფიტებზე (ასევე სპილოს ძვლებზეც), ბოლოს გაჩნდა ეტრატები (პერგამენტები*), მოგვიანებით, ევოლუციის შედეგად, სამართალმა ფორმალიზაცია განიცადა. დაუნერვლი სამართალი დაწერილი გახდა. სამართლის ფორმალიზაციამ, თავის მხრივ, ხელი შეუწყო სამართლის არქაული ნორმებისა თუ წესების უარყოფას. საზოგადოებრივ საწყისებზე არსებულმა სამართალმა სახელმწიფოებრივი შინაარსი შეიძინა. კანონმდებელი ფორმალიზირებულ სამართალში უკვე არ ითვალისწინებს დაუნერვლი სამართლის მოძველებულ ნიმუშებს. ტაილონის პრინციპი (შურისძიების პრინციპი) კომპოზიციამ შეცვალა (ჭარიმა). თუმცა, იგი დიდი ხანი კვლავ არსებობდა ამა თუ იმ ხალხების ცხოვრებაში. იგი გვხვდება სამართლის არაერთ ძეგლში.

სამართლის ისტორია სამართლის ევოლუციური ცვლილებების შესახებ მეცნიერებაა⁸. სამართლის ევოლუცია სამართლის გარდაქმნაა. ურთიერთგავლენები სამართლის ევოლუციის უმთავრესი წინაპირობაა. თავისთავად ცხადია, სამართლის ევოლუცია წარმოდგენილი იქნებოდა სამართლის რეცეფციის გარეშე*. სამართლის ისტორიას აინტერესებს ის კულტურული კავშირები, რომელთა გავლენით ყალიბდება და ვითარდება სამართალი. ამიტომ, ეროვნულ სამართლებრივ სისტემებს სამართლის ისტორია შეისწავლის არა იზოლირებულად, არამედ ერთმანეთთან კავშირში⁹. ამ თვალსაზრისითაც, სამართლის ისტორია სამართლის რეცეფციის

ისტორიაცაა. სამართლის რეცეფცია უცხოური სამართლის გათავისებაა. ისტორიულად, ბევრმა ხალხმა სამართალგანვითარებას, სწორედ რეცეფციის შედეგად მიაღწია. სამართლის ისტორია სამართლებრივ-თეორიული დისკუსიის ადგილი არაა. ის უფრო მეტად ინტერდისციპლინარული ბუნებისაა რეცეფციის კონტექსტში¹⁰. სამართლის ისტორია შეიძლება ჩაითვალოს, როგორც ტრანსლაციის პროცესის დიდი დიაგრამა¹¹. სამართალი არაა უნიფიცირებული*, ზენაციონალური. სამართალს არ გააჩნია ერთიანი ბუნება. სამართალი განუყოფელი არაა. სამართალი თვისობრივად თავისთავადია. სამართალი ხშირად ავტოქტონურია. სამართალი ყალიბდებოდა და ვითარდებოდა კონკრეტულ საზოგადოებაში, ამავე დროს, განსხვავებული ტრადიციებისა და კულტურების მატარებელ ხალხში, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ე.წ. ნაციონალური სამართლის ჩამოყალიბებასა და განვითარებას. სამართლის რეცეფციის მრავალსაუკუნოვანი ისტორია გვიჩვენებს, რომ სამართალი აბორიგენული* ბუნებისაა. სამართლის ავტოქტონურ-აბორიგენული თვისება სამართლის რეცეფციის უმთავრესი წინაპირობაა. თუმცა, სამართლის ისტორიული სკოლისათვის, სამართლის ამგვარი გაგება გამორიცხავს მის რეცეფციას. სამართლის ეს მიმდინარეობა უარყოფდა რეცეფციას სამართალში. ისტორიული სკოლის წარმომადგენელთა აზრით, სამართალი ინდივიდუალურია, სამართალი კონკრეტული ხალხის სულის გამოხატულებაა, შესაბამისად, შეუძლებელია ინდივიდუალური თავისებურებებით გამორჩეული სამართალი სხვა

* ხოს, ბატკნის ან თიკნის ტყავი.
 8 Amstutz M., 2002. Rechtsgeschichte als Evolutionstheorie Anmerkungen zum Theorierahmen von Marie Theres Fögen's Forschungsprogramm. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 1. S. 27.
 * ძველი ქართული სამართალი არასდროს არ კმაყოფილდებოდა მხოლოდ ეროვნული სამართალშემოქმედებით. ისტორიულად დიდი იყო სხვა მოწინავე ქვეყნების სამართლის გავლენა ქართულ სამართალზე. ამის მაგალითია, ექვთიმე მთაწმინდელის მთარგმნელობითი საქმიანობა საეკლესიო სამართლის დარგში. რეცეფციის გვირგვინი იყო ვახტანგ VI-ის კოდიფიკაცია.
 9 ხუბუა გ., 2015. სამართლის თეორია. გვ. 23.

10 Burghartz S., 2003. Umordnung statt Unordnung? Ehe, Geschlecht und Reformationsgeschichte, in: Zwischen den Disziplinen? Perspektiven der Frühneuzeitforschung. Hrsg. H. Puff. C. Wild. S. 165.
 11 Stolleis M., 2008. Rechtsgeschichte schreiben. Rekonstruktion, Erzählung, Fiktion?, Basel. S. 18.
 * UNUS ერთი და faciO ვაკეთებ.
 * ლათინური სიტყვაა – „aborigines“ და ნიშნავს დასაბამიდან, თავიდან.

ხალხმა გაითავისოს. მონტესკიეს მიერ წარმოდგენილი იდეა – ყოველი ერის სამართალი ასახავს ან გვიჩვენებს რა-ღაც განსხვავებულს ამ ერის „სულისა“ და კულტურის თაობაზე – თაობების მანძილზე დომინირებდა სამართლის მკვლევრების შრომებში¹². სამართლის ეროვნული ბუნების ამ დოქტრინის შესახებ ხაზგასმულია ქართული სამართლის კლასიკურ ძეგლში – ვახტანგ მეექვსის სამართალში: „ქართველთა წესნი და ქცევანი სხვა რამ არს და არა მიჰგავს სხვათა ქვეყნისა რიგთა და ქცეულებათა“.

სამართლის ისტორია სამართლის ევოლუციის იმგვარ მაგალითებსაც გვიჩვენებს, როდესაც სამართლის განვითარების დინამიკა სამართლის რეცეფციის გარეშე წარიმართა. სამართალში „უცხოურის შემოჭრის“ ტენდენციას განსაკუთრებით ინგლისელები დაუპირისპირდნენ. სამართლისა და სასამართლოს არაბრიტანული ტიპების მიმართ მტრობა ინგლისელი ხალხის დამახასიათებელი ძირძველი ნიშან-თვისებაა. ბოლოსდაბოლოს, ბრიტანული კუნძულების მცხოვრებნი ხომ იმ ხალხის შთამომავლები არიან, რომელთაც მრავალი საუკუნის წინ სიამაყით განაცხადეს: *nolumus leges Angliae mutari* (ჩვენ არ გვსურს არანაირი ცვლილება ანგლოსაქსონურ სამართალში)¹³. იგივე შეიძლება ითქვას ანტიკური პერიოდის ბერძნულ სამართლებრივ კულტურაზე. ბერძენი ისტორიკოსის თუკიდიდეს აზრით, ბერძნული კონსტიტუცია არ იმეორებს მეზობელი ქვეყნების კანონებს. ჩვენ მისაბაძი უფრო ვართ, ვიდრე მიმბაძველები¹⁴. რეცეფციისადმი მტრული დამოკიდებულების მიუხედავად, ინგლისური სამართალი თანამედროვე სამართლებრივ კულტურათა სივრცეში თავისებურ ადგილს იკავებს. მან განვითარების საკუთარი გზა აირჩია და ამ გზას ის წარმატებით მიჰყვება დღემდე.

12 ტაშნეტი მ., 2016. შედარებითი კონსტიტუციური სამართლის საწყისები, თბილისი. გვ. 6.

13 ლეონი ბ., 2015. თავისუფლება და კანონი, თბილისი. გვ. 128.

14 ლეონი ბ., გვ. 149.

სამართალშემოქმედებითი პროცესი კულტურულ პროცესებს მიეკუთვნება. სამართლის ისტორიკოსები სამართლის ნორმების განვითარებას შინაგანდინამიკას უკავშირებენ. ისინი აღწერენ ნორმის განვითარებას, როგორც რაციონალიზაციის, პროფესიონალიზაციისა და საზოგადოებრივი მოვლენების ნორმატიულ სივრცეში გადატანის პროცესს¹⁵. სამართლის ისტორია გვიჩვენებს, რომ სამართალი წარმოიშვა არა თავისთავად, არამედ მისი პრინციპები და ნორმები საზოგადოებრივი განვითარების პროდუქტია¹⁶.

სამართლის ისტორია, როგორც ინტერდისციპლინა

სამართლის ისტორია დამოუკიდებელი სამეცნიერო დისციპლინაა¹⁷. სამართლის ისტორია სამართლის დარგების ისტორიაა. თანამედროვე სამართალი დაყოფილია დარგებად. შესაბამისად, შეიძლება ვისაუბროთ სამართლის დარგების ისტორიაზე¹⁸. სამართლის ისტორია აერთიანებს სამართლის ისტორიის შემსწავლელ სხვადასხვა დისციპლინას. იგი ტრადიციულად მოიცავს ცალკეულ მიმართულებებს¹⁹. რომის სამართლის ისტორია სამართლის ისტორიის ყველაზე ძველი დისციპლინაა. იგი სამართლის მეცნიერების ამოუწურავი ფენომენია. რომის სამართლის საფუძვლებს სხვადასხვა ეპოქაში სამართლის დარგში მოღვაწე მსოფლიოში აღიარებული მეცნიერები ასწავლიდნენ. სწორედ სამართლის ისტორიკოსებმა წამოწიეს წინ ევროპული სამართლის კულტურისათვის კანონიკური და რომაული სამართლის მნიშვნელობა²⁰. ევროპული სამართლის

15 Rudolph H., 2004. S. 355.

16 Baranowski G., 2001. S. 1.

17 Klenner H., 2004. Warum ausgerechnet keine rechtsgeschichte? in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 4. S. 57.

18 Deutsche Rechtsgeschichte Skript zur Vorlesung WS 2012/13. S. 2.

19 Meder St., 2011. Rechtsgeschichte. 4. Auflage.

20 Rudolph H., 2004. S. 354.

ისტორიის ფარგლებში ტრადიციულად დამუშავდა ius commune, როგორც ტრანსნაციონალური სამართალი. ეს იყო მისი კვლევის ძირითადი საკითხი²¹.

სამართლის ისტორია ევროპული ინტეგრაციის ფარგლებში კვლევის შედეგებით ახალი სფეროა²². უკვე დიდი ხანია ცალკე ჩამოყალიბდა „შედარებითი ევროპული სამართლის ისტორია“²³, რომელიც მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა, პოლონეთის ყველა უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე იკითხებოდა. მან სამართლის ისტორიის სწავლების საკითხში განსაკუთრებული როლი ითამაშა²⁴.

სამართლის ისტორიის ფარგლებში მოიაზრება ქვედარგები, რომლებიც სამართლის დარგის ისტორიის შიგნით შეისწავლიან კონკრეტული სამართლებრივი ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებებს. მაგალითად, საკონსტიტუციო სამართლის ისტორიის შემადგენელი ქვედარგია კონსტიტუციის ისტორია, როგორც მეცნიერება²⁵. კონსტიტუციის ისტორიასა და თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალს შორის მჭიდრო კავშირს საგანთა მსგავსება განაპირობებს. ორივე დისციპლინა ეხება კონსტიტუციას, განსაკუთრებით სახელმწიფო ხელისუფ-

ლების ორგანიზაციას, სახელმწიფო ხელისუფლების ცალკეულ ორგანოებს, მათ შორის სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობას. კონსტიტუციის ისტორია შეისწავლის, როგორი იყო ეს კავშირები წარსულში²⁶.

სამართლის ისტორია, როგორც პრაქტიკული მეცნიერება და არამეცნიერების თეორია

სამართლის ისტორია არ ნიშნავს მხოლოდ წარსულში „ქექვას“. სამართლის ისტორიის მიზანია არა მხოლოდ სამართლის სფეროში მომხდარი მოვლენების უბრალო აღწერა, არამედ სიახლეების ძიება, ე.ი. სამართლის ისტორია სამართლის ძიებაა. სამართლის ისტორიით შეიძლება ძველის შესწავლა და ახლის აღმოჩენა²⁷. სამართლის ისტორია, ისევე როგორც შედარებითი სამართალი, შეიძლება იურიდიული აღმოჩენების მოტორი იყოს²⁸. სამართლის ისტორიამ შეიძლება მოგვაწოდოს „თვალსაჩინოებები“ და შედარებითი მომენტები²⁹. სამართლის ისტორიის მიზანი წარსული ეპოქის საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმატიული საფუძვლების შესწავლაა.

სამართლის ისტორია სამართლის მეცნიერებისათვის ექზისტენციალურია³⁰. სამართლის ისტორია, ხშირად განიხილება, როგორც ხელოვნების პროდუქტი³¹ და როგორც სამართლის პოლიტიკა³². იურიდიულ მეცნიერებაში სამართლის ისტორიის პრაქტიკული დანიშნულების

21 Duve T., 2012. Von der Europäischen Rechtsgeschichte zu einer Rechtsgeschichte Europas in globalhistorischer Perspektive. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 20. S. 29.

22 Schorkopf F., 2014. Rechtsgeschichte der europäischen Integration. in: Juristenzeitung. 2. Mai. S. 428. Rechtsgeschichte. 2012. von der Römischen Antike bis zur Neuzeit. Hähnchen S., Ebel F., Thielmann G. 4. Auflage. S. XVIII.

23 Kriechbaum M., 1999. Römisches Recht und neuere Privatrechtsgeschichte in Savignys Auffassung von Rechtsgeschichte und Rechtswissenschaft. In: Rechtsgeschichte und Privatrechtsgeschichte. Hrsg. Reinhard Zimmermann. Heidelberg. S. 41.

24 Thieme H., Rechtsgeschichte und Rechtswissenschaft. in: Arbeiten zur Rechtsgeschichte. Festschrift für Gustaf Klemens Schmelzeisen. Hrsg. Von Hans-Wolf Thümmen. Band 2. S. 284.

25 Kley A., 2013. Verfassungsgeschichte der Neuzeit. Dritte Auflage. S. 1.

26 Frotischer W., Pieroth B., 2013. Verfassungsgeschichte. 12. Auflage. S. 1.

27 Honsell H., 1986. 1987. Das rechtshistorische Argument in der modernen Zivilrechtsdogmatik, in: Simon, Akten des 26. Deutschen Rechtshistorikertages. S. 299.

28 Engisch K., 2010. Einführung in das juristische Denken, bearbeitet von Würtenberger/Otto, 11. Aufl. S. 77.

29 Luminati M., 2010. Eine Rechtstheorie für das Mittelalter? in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 17. S. 50.

30 Rechtsgeschichte. 2012. von der Römischen Antike bis zur Neuzeit. Hähnchen S., Ebel F., Thielmann G. 4. Auflage. S. 1.

31 Stolleis M., 1997. Rechtsgeschichte als Kunstprodukt.

32 Welker K., 1996. Rechtsgeschichte als Rechtspolitik. Justus Möser als Jurist und Staatsmann.

შესახებ თითქმის ერთიანი პოზიცია ჩამოყალიბდა. ხშირად დაისმის შემდეგი შეკითხვა: რატომ სამართლის ისტორია, როგორც სასწავლო დისციპლინა?³³ რატომ უნდა ისწავლებოდეს ის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებთან? ამ კითხვაზე პასუხი ცხადია: ერთი მხრივ, სამართლებრივი ნორმების ისტორიული განმარტება სამართლის ისტორიის ცოდნას მოითხოვს, მეორე მხრივ, თანამედროვე სამართლის ძალიან ბევრი ნორმა თუ ინსტიტუტი ისტორიულ ეპოქებში წარმოიშვა და განვითარდა. ამ ნორმებსა და ინსტიტუტებს დღემდე იგივე მნიშვნელობა აქვთ, როგორც წარსულში.

სამართლის ისტორია მაშინ იძენს ლეგიტიმურობას, როდესაც მას შეუძლია თანამედროვე სამართლის შესახებ მთავარი ინფორმაცია მოგვანოდოს, როდესაც სამართლის ისტორია არსებული სამართლის გაგებისა და გამოყენების შესაძლებლობებს გთავაზობს. არსებული სამართლის ცოდნა სამართლის ისტორიის ცოდნის გარეშე მხოლოდ ფრაგმენტალურია³⁴. თანამედროვე სამართალი ყოველთვის გზავნილია წარსულიდან³⁵.

გერმანული იურიდიული სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც სამართლის ისტორიის საკითხებს ეხება, უყურადღებოდ არ ტოვებს ძველი რომის ისტორიისა და რომის სამართლის აღიარებული სპეციალისტის თეოდორ მომზენის ცნობილ სიტყვებს: იმისათვის, რომ სამართალში შორსმჭვრეტელობა (გონიერება) მივიღოთ, საჭიროა ისტორიისა და იურისპრუდენციის შერწყმა³⁶.

შეიძლება ბევრი პრაქტიკული ცოდ-

ნა სამართლის პოლიტიკის შესახებ სამართლის ისტორიიდან შევიძინოთ³⁷. თანამედროვე სამართლის მეცნიერებაში იკვლევენ სამართლის ისტორიის პრაქტიკული გამოყენების საკითხს. მაგალითად, სამართლის ისტორია და სამართალწარმოება³⁸, სამართლის ისტორია და კანონმდებლობა³⁹. კანონშემოქმედებით საქმიანობაში დიდი დახმარების გაწევა შეუძლია სამართლის ისტორიისა და შედარებით სამართალმცოდნეობას⁴⁰.

სამართლის ისტორია შეისწავლის როგორც წარსული ეპოქების სამართალს, ასევე მის კავშირს თანამედროვე სამართალთან. ისტორიული განვითარების ცოდნის გარეშე შეუძლებელია სამართლის თანამედროვე ინსტიტუტების არსის გარკვევა⁴¹. სამართლის გაგებისა და ზოგადად სამართლის კულტურისათვის სამართლის ისტორია აუცილებელია. სამართლებრივი ცნობიერება და სამართლებრივი ისტორია განუყოფელია⁴². სამართლის გაგება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ვიცით მისი ისტორია⁴³. სამართლის ისტორია „წესების კონცეფციის“ ისტორიაა და ის ქმნის უწყვეტ კავშირს ისტორიულ და თანამედროვე სამართლებრივ წესრიგს შორის⁴⁴. სამართლის ისტორია ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს თანამედროვე სამართლის მეცნიერებასთან⁴⁵.

რაში მდგომარეობს სამართლის ის-

33 Rechtsgeschichte I. Vorlesung an der Universität Bern. Wintersemestr 1998/99. Aufgezeichnet und bearbeitet von Marcel Küchler. S.1.

34 Rechtsgeschichte I. Vorlesung an der Universität Bern. Wintersemestr 1998/99. Aufgezeichnet und bearbeitet von Marcel Küchler. S.1.

35 Rechtsgeschichte I. Vorlesung an der Universität Bern. Wintersemestr 1998/99. Aufgezeichnet und bearbeitet von Marcel Küchler. S.2.

36 Mommsen T., 1907. Gesammelte Schriften, Bd. 3, Berlin. S. 600.

37 Thieme H., S. 284.

38 Ebert I., 2003. Vom praktischen Nutzen der Rechtsgeschichte für die Rechtsprechung. in: Der praktische Nutzen der Rechtsgeschichte. Hrsg. Jörn Eckert. S. 111.

39 Hattenhauer Ch., 2003. Zum praktischen Nutzen der Rechtsgeschichte in der Gesetzgebung. in: Der praktische Nutzen der Rechtsgeschichte. Hrsg. Jörn Eckert. S. 191.

40 ხუბუა გ., 2015. სამართლის თეორია. გვ. 143.

41 ხუბუა გ., 2015. სამართლის თეორია. გვ. 22.

42 Kramer H., Rechtsgeschichte hat viel zu sagen. <http://www.kramerwf.de> (31.10. 2017).

43 Benedict J., 2004. Wozu Rechtsgeschichte – Oder von den Pathologien der Rechtswissenschaft. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 4. S. 20.

44 Their A., 2015. Zwischen Kultur, Herrschaftsordnung und Dogmatik: Erkenntnisdimensionen rechtshistorischer Forschung. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 23. S. 272.

45 Thieme H., S. 284.

ტორიის პრაქტიკული დანიშნულება? ეს კითხვა უკვე დიდი ხანია სამართლის მეცნიერებაში აქტუალურია. ჯონ ეკერტი, გერმანელი მეცნიერი, სამართლის ისტორიის პრაქტიკულ გამოყენებაზე საუბრობს. მისი აზრით, სამართლის ისტორია თანამედროვე სამართლის პრობლემების გადაჭრას ემსახურება.

- სამართლის ისტორიის საკითხები შეიძლება იმავდროულად იყოს თანამედროვე სამართლის აქტუალური საკითხები. ეს განსაკუთრებით ის შემთხვევაა, როცა არსებული სამართალი ადრინდელ სამართალთან მჭიდროდაა დაკავშირებული.
- სამართლის ისტორიას შეუძლია წვლილი შეიტანოს თანამედროვე სამართლებრივ-პოლიტიკური და დოგმატურ-სამართლებრივი პრობლემების გადაწყვეტაში. ის წარსულიდან საკითხთა გადაწყვეტის მეთოდებს უჩვენებს.
- სამართლის ისტორია შეიძლება სასარგებლო იყოს სამართლის დოქტრინისთვის ისტორიული განმარტების კონტექსტში⁴⁶.

თანამედროვე სამართალში ისტორიული სამართლის ნორმის დამკვიდრება, თავისთავად, სამართლის ისტორიას არგუმენტაციულ ბუნებას ანიჭებს. სამართლის ისტორია მოიცავს მდიდარ გამოცდილებას⁴⁷. თანამედროვე სამართალშემოქმედებით პროცესში მისი გამოყენება ამ პროცესების ლეგიტიმაციის ერთერთი მნიშვნელოვანი წყაროა. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა კერძო სამართალში, ასევე საკონსტიტუციო სამართალში. თანამედროვე ევროპული (კონტინენტური) კერძო სამართლის უმთავრესი წყაროა რომის სამართალი. სამართლის ისტორია, კერძოდ კი რომის

სამართალი, არგუმენტაციის საგანძურია⁴⁸. ისტორიული სამართალი თანამედროვე სამართალში ცოცხლობს. თანამედროვე სამართლის ფესვები ისტორიულ სამართალში უნდა ვეძიოთ. თუმცა, შეიძლება დავსვათ შემდეგი ლოგიკური კითხვა: აქვს თუ არა სამართლის ზოგიერთ დარგს მჭიდრო კავშირი საკუთარ წარსულთან ისე, როგორც ეს კერძო სამართლის ან საკონსტიტუციო სამართლის შემთხვევაშია? რასაკვირველია, სამართლის სისტემაში მოიძებნება ისეთი დარგები, რომლებიც ნაკლებად ამჟღავნებენ კავშირს ისტორიულ სამართალთან ან, რომელბსაც ისტორიასაერთოდ არგააჩნია. თანამედროვე სისხლის სამართალი სრულიად განსხვავდება ისტორიულად არსებული სისხლის სამართლისაგან, როგორც პრინციპების, ისე სასჯელთა სისტემისა და მტკიცებულებების ნაწილში. აქიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის თანამედროვე მკვლევრები თუ პრაქტიკოსები, სისხლის სამართლის ისტორიის კვლევა-ძიებით დაინტერესებულნი არ არიან. მათ ეს სფერო არ იზიდავთ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სისხლის სამართლის ისტორიასა და თანამედროვე სისხლის სამართალს შორის, ისეთივე განსხვავებაა, როგორც ცა და დედამიწას შორის.

სამართლის ამა თუ იმ დარგში შეიძლება გამოიყოს ბევრი ინსტიტუტი, რომელიც შედარებით გვიანდელი მოვლენაა და არანაირი კავშირი მათ ისტორიასთან არ აქვთ. მაგალითად, თუკი გადავხედავთ სამართლის ისტორიას, დავინახავთ, რომ პირადის ცნება დღევანდელი გაგებით შედარებით თანამედროვე მონაპოვარია⁴⁹.

სამართალი მოიცავს პრინციპებს⁵⁰. დროთა განმავლობაში სამართლის პრინციპებისადმი მიდგომა შეიცვალა. ბევრი მათგანი მოგვიანებით სამართლის ფუნდამენტური პრინციპი გახდა. მაგა-

46 Der praktische Nutzen der Rechtsgeschichte. 2001. Hans Aattenhauer zum 8. September 2001. Hrsg. Von Jörn Eckert. S. 130.

47 Honsell H., 1986, 1987. Das rechtshistorische Argument in der modernen Zivilrechtsdogmatik, in: Simon, Akten des 26. Deutschen Rechtshistorikertages. S. 299.

48 Honsell H., Das rechtshistorische Argument in der modernen Zivilrechtsdogmatik. <http://www.honsell.at> (16.11.2017).

49 ბაუმი გ., ისენით ძირითადი უფლებანი! გვ. 116.

50 უექსი რ., 2006. სამართლის ფილოსოფია. გვ. 59.

ლითად, ადამიანის ღირსება, როგორც სამართლის უნივერსალური პრინციპი, მე-20 საუკუნეს უკავშირდება და დღეს მას სამართლის ღირებულებათა იერარქიაში პირველი ადგილი უჭირავს. თუ ისტორიულად სამართალი აფუძნებდა უთანასწორობის პრინციპს, დღეს კი თანასწორობა სამართლის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. დროთა განმავლობაში, სახელმწიფო მოწყობის სამართალშიც შეიცვალა პრინციპების შინაარსი. მაგალითად, „მონარქიული პრინციპიდან“ (ძალაუფლების კონცენტრაცია მონარქის ხელში) კაცობრიობა თანდათანობით გადავიდა ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე. ასევე, არსებითად განსხვავდება სუვერენიტეტის თანამედროვე გაგება სუვერენიტეტის იმ ცნებისგან, რომელიც საუკუნეების განმავლობაში დამკვიდრებული იყო პრაქტიკაში („ღმერთის სუვერენიტეტი“, „მონარქის სუვერენიტეტი“). კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე თეორია და პრაქტიკა „სახალხო სუვერენიტეტის“ პრინციპს აღიარებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ არსებითი განსხვავებაა სამართლის „ძველ“ და „ახალ“ პრინციპებს შორის. ასევე, მნიშვნელოვნად განსხვავდება სამართლის ზოგიერთი თანამედროვე ინსტიტუტი ისტორიულად არსებულისგან. მაგალითად, ჯარიმა („საზღაო“) სასჯელთა სისტემის ერთერთი უძველესი და თავდაპირველი ფორმაა, რომლის ოდენობა იმის მიხედვით განისაზღვრებოდა, თუ სოციალური იერარქიის რომელ საფეხურზე იმყოფებოდა დამნაშავე ან დაზარალებული. რამდენადაც დაზარალებული მალეა დგას ფეოდალური იერარქიის კიბეზე, იმდენად მტკიცედ იცავს მას კანონი, იმდენად ძვირად ღირს მისი სისხლი⁵¹. დღეს კი ჯარიმის ოდენობა

სამართალდარღვევის სიმძიმეზე ან მიყენებული ზიანის მაშტაბზე დამოკიდებული.

სამართლის ისტორიამ, ერთი მხრივ, უნდა გვიჩვენოს, თუ სამართლის რომელი პრინციპი ან ინსტიტუტი დღემდე სიცოცხლისუნარიანი და, მეორე მხრივ, რომელია ისტორიის კუთვნილება.

სამართლის მეცნიერება არსებითად ჰერმენევტიკული მეცნიერებაა. ეს სიტყვა ნაწარმოებია ბერძნული ღმერთის ჰერმესისგან (Hermes) – ღმერთის ცოდნა. ჰერმენევტიკა განმარტების ზოგადი თეორია⁵². მისი არსი იმაშია, რომ დადგინდეს კანონის ტექსტის ავტორის ნება, რათა მოხდეს მისი რეკონსტრუქცია. დოგ-

ძველი ქართული სამართლის ზოგიერთი ძველი: „დიდებაი მაცხოვარსა მხოლოსა ღმერთსა ჩუენსა“ (პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი), „ძველისწერაი წმიდისა და ღმრთივ შეკრებულისა კრებისაი“ (ძველისწერაი რუს-ურბნისის კრებისად), „სახელითა ღმრთისადთა, – დაუსაბამოვსა მამისა, ძისა და წმიდისა სულისადთა“ (ბექა-აღბუღას სამართალი), „სახელითა ღმრთისადთა“ (სამთავისის სამწყსოს საკანონოს წიგნი ცხრაზმისხევის კრებულისა და მამასახლისებისა გრიგოლ სამთავნელისადმი. 1459 წელი), „მბადისაგან არსთა ყოველთა ღმრთისა მამისა“ (მცნებად სასჯულოი (1470-1474), „წყალობითა შეწვენითა ღმრთისათა“ (საცაიშლო გამოსავალი მოსაკრებლობის დავთარი (1616-1621), „ნებითა და შეწვენითა ღმრთისათა“ (წყალობისა წიგნი კათალიკოს იოვანე დიასამიძის დემეტრე აღესებაძისადმი (1689 წ. 26 იანვარი), „სახელითა სახეირისა, არსება დაუბადებელისა ღმრთისა მამისა“ (განჩინება საეკლესიო კრებისა სამონასტრო წესისა და რიგის თაობაზე), „სათნოყოფითა ღმრთისა ყოველთა მბადისათა“ (კანონი 1748 წლის საეკლესიო კრებისა), „იდიდებოდეთ ღმერთი იგი მამაი“ (მეუვალობის წიგნი მაქსიმე კათალიკოზისა გელათის წმინდა გიორგისადმი (1778 წ. 20 ოქტომბერი), „ეჰა, დიდება შენდა მბადო ყოველთაო“ (დასტურლამალი). „ღმერთის იდეას“ კანონმდებლობაში არ დაუკარგავს თავისი აქტუალობა დღემდე. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის მიხედვით, „ჩვენ, საქართველოს მოქალაქენი... ღვთისა და ქვეყნის წინაშე ვაცხადებთ ამ კონსტიტუციას“. კონსტიტუციის 71-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი „ღვთისა და ერის წინაშე“ დებს ფიცს. საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ ორგანული კანონის მე-9 მუხლის მიხედვით, საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი დებს ფიცს: „ღვთისა და ერის წინაშე“.

* მაგალითად, ქართული სამართლის ყველა ძველი განიცდის ქრისტიანული სარწმუნოების გავლენას. ზოგიერთი მათგანის პრეამბულა (ლათინური სიტყვაა: Praeambulus – წინამორბედი. ფრანგული: Preamble – წინათქმა) აღიარებს „ღვთის წყალობას“. მაგალითად, შემდეგი სიტყვებით იწყება

51 სურგულაძე ი., 1952. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიისათვის (ქართლის სახელმწიფოებრივი წყობილება გვიანფეოდალურ პერიოდში). გვ. 70.

52 Rechtsgeschichte. 2012. von der Römischen Antike bis zur Neutzeit. Susanne Hähnchen, Friedrich Ebel, Georg Thielmann. 4. Auflage. S. 1.

მატიკოსი, პირველ ყოვლისა, ცდილობს არსებული სამართლის შინაარსის გაგებას. სამართლის ისტორიკოსი პირიქით, შეისწავლის უცვლელს – ისტორიულად არსებულ სამართალს⁵³. დიდი ხანია განმარტების „სწორი“ მეთოდების საკითხი სამართლის კულტურაში აქტუალურია⁵⁴. კანონის განმარტება იურიდიული არგუმენტაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია. არგუმენტაცია იურისტების ყოველდღიური საქმიანობაა⁵⁵. კანონის ისტორიული ინტერპრეტაციის ამოცანაა დავადგინოთ კანონმდებლის მიზანი. განმარტების ამ ხერხს ხშირად იყენებენ, როგორც თეორეტიკოსი იურისტები, ისე სასამართლო პრაქტიკაში მოსამართლეები. თავისთავად ის ფაქტი, რომ სამართლის ისტორიული განვითარების ცოდნა გვეხმარება თანამედროვე სამართლის გაგებაში,⁵⁶ ნიშნავს იმას, რომ სამართლის ნორმის შინაარსის სწორი გაგება დამოკიდებულია ამ ნორმის ისტორიულ განმარტებაზე. ინტერპრეტატორი ყველა ყოველთვის მხოლოდ თავის ისტორიას⁵⁷. ისტორიული განმარტებისთვის მნიშვნელოვანია კანონმდებლის მიზნის დადგენა⁵⁸. სამართლის ისტორია კანონის განმარტების დოგმატიკასთან⁵⁹ მჭიდრო კავშირშია. სამართლის ისტორიის ცოდნა კანონმდებლის ისტორიული ნების დადგენის აუცილებელი წინაპირობაა⁶⁰. კანონის განმარტების ხარისხი ხელს უწყობს სა-

მართლის ფუნქციონირების უზრუნველყოფასა და მის სტაბილურ გამოყენებას⁶¹.

სამართლის ცალკეული ინსტიტუტის ისტორიული განვითარების ცოდნა აუცილებელია ნორმის სწორი ინტერპრეტაციისათვის⁶². მაგალითად, სამართლის ისტორიის, კერძოდ, ძველი ქართული საქორწინო სამართლის ცოდნა გვეხმარება სწორად განვმარტოთ, საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას. რატომ გაუსვა ხაზი კანონმდებელმა „თანასწორობას და ნებაყოფლობას“? რა იყო ამ ნორმის კანონმდებლისეული მიზანი? უხსოვარი დროიდან საქართველოში ქალ-ვაჟი საქორწინო ურთიერთობებში არ იყვნენ თანასწორნი. მაგალითად, თავადს არ შეეძლო გლეხზე დაქორწინება და პირიქით. ქორწინება არც ნებაყოფლობაზე იყო დამყარებული. ქორწინების აუცილებელ პირობას, ასევე, ქალ-ვაჟის მშობელთა ურთიერთთანხმობა წარმოადგენდა. საქართველოს კონსტიტუციის – კონკრეტულად, კანონმდებლის მიზანი მხოლოდ ქალ-ვაჟს შორის თანხმობისა და მათ შორის თანასწორობის მიღწევა იყო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ისტორიული რეალობის გათვალისწინების გარეშე ამ ნორმის განმარტება, კანონმდებლის მიზნის დადგენა შეუძლებელია. ინტერპრეტაციის კლასიკურმა კრიტიკუმებმა აჩვენა, რომ ისტორიულ და სისტემურ კონტექსტებს არგუმენტაციული წონა აქვს, რადგან ისინი საკანონმდებლო საქმიანობის აზრსა და მიზანს უფრო ნათელს ხდის⁶³. სამართლის ისტორიის, კერძოდ კი, წარსულში სახელმწიფოსა და ეკლესიის კავშირ-ურთიერთობების ცოდნა აუცილებელი საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული

53 Rechtsgeschichte. 2012. von der Römischen Antike bis zur Neuzzeit. Susanne Hähnchen, Friedrich Ebel, Georg Thielmann. 4. Auflage. S. 2.
 54 Loos F., 1985. Bemerkungen zur "historischen Auslegung". in: Festschrift für Rudlof Wassermann zum sechzigsten Geburtstag. S. 123.
 55 ხუბუა გ., 2015. სამართლის თეორია. გვ. 242.
 56 ხუბუა გ., 2015. სამართლის თეორია. გვ. 23.
 57 Rechtsgeschichte I. Vorlesung an der Universität Bern. Wintersemestr 1998/99. Aufgezeichnet und bearbeitet von Marcel Küchler. S.2.
 58 ხუბუა გ., 2015. სამართლის თეორია. გვ. 191.
 59 Attenauher H., Zur Rechtsgeschichte und Dogmatik der Gesetzesauslegung. In: Rechtsgeschichte und Privatrechtsdogmatik. Hrsg. Reinhard Zimmermann. 1999. Heidelberg. S. 129.
 60 Deutsche Rechtsgeschichte Skript zur Vorlesung WS 2012/13. S. 2.

61 Deutsche Rechtsgeschichte Skript zur Vorlesung WS 2012/13. S. 2.
 62 ხუბუა გ., 2015. სამართლის თეორია. გვ. 23.
 63 ციპელეუსი რ., 2006. იურიდიული მეთოდების მოძღვრება. გვ. 59.

ნორმის ინტერპრეტაციისათვის, რომლის მიხედვით, სახელმწიფო აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის განსაკუთრებულ როლს საქართველოს ისტორიაში*. ისტორიული განმარტება გვცხადებს, ასევე, საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულის სულისკვეთების დადგენაში. ისტორიულ ცოდნას განსაკუთრებით იმ ნაწილის ინტერპრეტაცია მოითხოვს, რომელიც აღიარებს, რომ საქართველოს კონსტიტუცია ეყრდნობა „ქართველი ერის მრავალსაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობის ტრადიციებსა და საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას“. ისტორიული განმარტების გარეშე შეუძლებელია საქართველოს კონსტიტუციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ნორმის შინაარსის ზუსტი დადგენა (საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით). კონსტიტუციურ კანონმდებლობაში მოცემულია ისეთი ნორმებიც, რომელთა შინაარსის განმარტება არ მოითხოვს მაინცდამაინც ისტორიული სამართლის ცოდნას, თუმცა სასურველი და მიზანშეწონილია განმარტების პროცესში გამოვიყენოთ ინტერპრეტაციის ეს მეთოდი. მაგალითად, ასეთია საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლი, რომელიც განამტკიცებს კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტურ პრინციპებს. კანონმდებლობაში ზოგიერ-

თი ნორმის არსებობა ისტორიული რეალობითაა გამოწვეული. მაგალითად, საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 ქვეპუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მიითვისოს ან უკანონოდ მოიპოვოს ხელისუფლება. ისტორიული წარსული შეგვახსენებს სწორედ მსგავს მაგალითებს: 1921 წლის თებერვლისა და 1991-1992 წლის მოვლენები საქართველოში. კონსტიტუციური შეთანხმების ძალიან ბევრი მუხლის განმარტება შეუძლებელია ისტორიული ცოდნის გარეშე. მაგალითად, მე-11 მუხლი ადგენს, რომ სახელმწიფო ადასტურებს XIX-XX საუკუნეებში (განსაკუთრებით 1921-90 წლებში), სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის პერიოდში, ეკლესიისათვის მატერიალური და მორალური ზიანის მიყენების ფაქტს.

ჩვეულებითი სამართალი სამართლის სისტემაში სრულიად დამოუკიდებელ თვისებას ამჟღავნებს⁶⁴. სამართლის ისტორიასა და ჩვეულებით სამართალს შორის მჭიდრო კავშირია. ისტორიულად უძველეს სამართლებრივ დოკუმენტებში ჩვეულებითი სამართლის ნორმები აისახებოდა. სამართლის ისტორია და ჩვეულებითი სამართალი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, ჩვეულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება სამართლისა და ზნეობის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებს ან საჯარო წესრიგს. მართალია, ჩვეულებებს სუბსიდიარული დატვირთვა აქვთ, მაგრამ კანონმდებლის მიერ მათი გამოყენების შესაძლებლობის დაშვება, თავისთავად, მეტყველებს იმ ფაქტზე, რომ ჩვეულებითი სამართალი თანამედროვე სამართლის წყაროა სამოქალაქო სამართლის ნაწილში.

ხშირად ძველი ნორმები შეუსაბამოა

* ქართული სამართლის ისტორია შეისწავლის სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის ურთიერთობის საკითხებს. ქართული სამართლის ისტორია ნათლად წარმოგვიდგენს, თუ რა დიდი წვლილი შეიტანა ქართულმა ეკლესიამ ქართული სახელმწიფოს გადარჩენა-განვითარების საქმეში. ასევე, ეკლესიას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საზოგადოებრივი ცხოვრების ისეთი მნიშვნელოვანი სფეროს – საქორწინო-საოჯახო ურთიერთობების მოწესრიგების საქმეში. სხვადასხვა დროს ეკლესიამ ხმა აიმაღლა საზოგადოებაში გაბატონებული მანკიერი მხარეების წინააღმდეგ. ამის მაგალითია, რუს-ურბნისის საეკლესიო კრება, კათალიკოსთა სამართალი და სხვა.

64 Piilch M., 2010. Rechtsgewohnheiten aus rechtshistorischer und rechtstheoretischer Perspektive. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 17. S. 39.

თანამედროვე პირობებთან. სამართლის თეორიისათვის უცხო არაა შემდეგი ფორმულა: ნორმა მოძველდა. სამართალს ამასთანავე რეგენერაციის თვისება აქვს. ის, რაც ძველი იყო და რომელიც ოდესღაც საზოგადოებრივ ურთიერთობებს აწესრიგებდა, შეიძლება რეკონსტრუირებულ იქნეს თანამედროვეობაში. სამართლის რეგენერაცია დაუშვებელია, თუ საქმე გვაქვს ისეთ სამართლებრივ სისტემასთან, როგორცაა, მაგალითად, სოციალისტური სამართალი. კანონმდებლობა განსაზღვრავს, ასევე, ძველი ნორმის რეგენერაციის დაუშვებლობას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სამართლებრივი აქტი ან მისი ნაწილი არაკონსტიტუციურადაა ცნობილი.

სამართლის ისტორია, როგორც მცნიერება ნორმის შესახებ და ტერმინთა ეტიმოლოგია

სამართლის ისტორია სამართლის მეცნიერებისათვის ფუნდამენტურ როლს ასრულებს. სამართლის ისტორია სამართლის ფილოსოფიისა და სამართლის სოციოლოგიის რანგში დგას. სამართლის ისტორია, სამართლის სოციოლოგია და სამართლის ფილოსოფია (სამართლის თეორია) სამართლის დოგმატიკის ფუნდამენტია. ყველა ერთად ქმნის სამართლის მეცნიერებას⁶⁵.

ცნობილი გერმანელი მკვლევრის ჰაინრიხ მიტეასის მიხედვით, სამართლის იდეა სამართლის ისტორიის დამოუკიდებელი თემაა⁶⁶. სამართლის ისტორია გამიჯნულია სამართლის მეცნიერებისაგან⁶⁷. სამართლის ისტორია მიეკუთვნება ისტორიულ მეცნიერებებს⁶⁸.

სამართლის ისტორია ზოგადი ისტორიის ნაწილია, რომლის საგანია სამართალი⁶⁹. სამართლის ისტორია ხშირად განიხილება, როგორც ნორმის ისტორია, ისტორიული მეცნიერება და პრაქტიკის ისტორია⁷⁰. სამართლის ისტორიის საგანი „სამართალია“ და იგი ისტორიული მეცნიერებებისთვის დამახასიათებელ კვლევის მეთოდებს იყენებს⁷¹. სამართლის ისტორია სამართლის ნორმის ისტორიაა⁷². ნორმის მიმართება სამართლის ისტორიას ამკვიდრებს, როგორც დარგს და ემიჯნება იგი ამით ისტორიული მეცნიერების სხვა დისციპლინებს⁷³. სამართლის ისტორია სისტემური თეორიაა, რომლის მიხედვით, სამართალი საზოგადოების განსხვავებული ფუნქციონალური სისტემაა⁷⁴. სამართლის ისტორია სამართლის შესწავლის გზაა, შესაბამისად, ის სამართლის მეცნიერების ნაწილია, „სამართლის ისტორიული მეცნიერება“⁷⁵. სამართლის ისტორია სამართლის მეცნიერების შემადგენელი დარგია⁷⁶.

65 Rechtsgeschichte. 2012. Von der Römischen Antike bis zur Neuzzeit. Hähnchen S., Ebel F., Thielmann G. 4. Auflage. S. 1.
 66 Thieme H., S. 280.
 67 Wesel U., 1974. Zur Methode der Rechtsgeschichte. Kritische Justiz. S. 337.
 68 Moriya K., 2015. Rechtsgeschichte provoziert Jurisprudenz. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 23. S. 263.

Rechtsgeschichte. 2012. Von der Römischen Antike bis zur Neuzzeit. Hähnchen S., Ebel F., Thielmann G. 4. Auflage. S. 2.
 69 Deutsche Rechtsgeschichte Skript zur Vorlesung WS 2012/13. S. 2.
 70 Duve T., Oestmann P., Normgeschichte. 2015. Wissenschaftsgeschichte und Praxisgeschichte. Drei Blickwinkel auf das Recht der Vergangenheit. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 23. S. 255.
 71 Schorkopf F., 2014. Rechtsgeschichte der europäischen Integration. in: Juristenzeitung. 2. Mai. 2014. S. 430. Wiggerich S., 2016. Rechtsgeschichte und Bedeutung. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 23. S. 274.
 72 Wiggerich S., 2016. Rechtsgeschichte und Bedeutung. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 23. S. 274.
 73 Wiggerich S., 2016. Rechtsgeschichte und Bedeutung. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 23. S. 274.
 74 Amstutz M., 2002. Rechtsgeschichte als Evolutionstheorie Anmerkungen zum Theorierahmen von Marie Theres Fögens Forschungsprogramm. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 1. S. 27.
 75 Schwab D., 1984. Geschichtliches Recht und moderne Zeiten. in: Festschrift für Heinz Hübner zum 70. Geburtstag am 7. November 1984. S. 234.
 76 Pilch M., 2010. Rechtsgewohnheiten aus rechtshistorischer und rechtstheoretischer Perspektive. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 17. S. 17.

სამართალში დღემდე გამოყენებულ სიტყვათა (ტერმინთა) შესწავლა ეტიმოლოგიური თვალსაზრისით სამართლის ისტორიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ქვაკუთხედი. სწორედ, სამართლის ისტორიას შეუძლია მოგვცეს მეცნიერულად დასაბუთებული ცოდნა იურიდიული ტერმინების შესახებ. სამართლის ისტორია იკვლევს ტერმინების წარმოშობის საკითხს*. მეცნიერების ამ დარგის ფარგლებში, ასევე, შეისწავლება სამართლის ლექსიკაში ისტორიულად დამკვიდრებული უცხოური სამართლებრივი ტერმინები. ამგვარ ტერმინებს ხშირად ვხვდებით ქართული სამართლის ძეგლებში. ამ თვალსაზრისით, სამართლის ისტორია იურიდიულ ტერმინთა ისტორიაა.

სამართლის ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია

გერმანიაში სამართლის ისტორია, როგორც აკადემიური დისციპლინა, მე-19 საუკუნის ბოლოდან შემოიღეს⁷⁷. თითქმის ყველა ევროპული სახელმწიფოს უნივერსიტეტში სამართლის ისტორია დამკვიდრებულია, როგორც სამართლის მეცნიერების დარგი და იურიდიული განათლების სფერო⁷⁸. სამართლის ისტორია ძველი დისციპლინა არაა⁷⁹. მე-

19 საუკუნეში მისი განსაკუთრებულობა „ისტორიზმით“ იყო განპირობებული. სამართლის ისტორიის მნიშვნელობა განსაკუთრებით მე-20 საუკუნის დასაწყისში, მას შემდეგ გამოიკვეთა, როდესაც ევროპაში ადგილი ჰქონდა დიდ კოდოფიკაციებს⁸⁰.

სამართლის ისტორიის სწავლების მეთოდოლოგია მოითხოვს სამართლის ისტორიკოსისა და მოქმედი სამართლის მეცნიერის (ლექტორის) კონტაქტებს ერთმანეთში. ეს „კარგი და გონიერია“⁸¹. სამართლის ისტორიის ლექტორი ასევე ვალდებულია, ლექცია თანამედროვე სამართლის საკითხებზეც ჩაატაროს. იქნება ეს სამოქალაქო თუ სავაჭრო, სისხლის ან საჯარო სამართლის ლექციები. ამ კომბინაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე სამართლის მეცნიერებისათვის და, პირიქით, თანამედროვე სამართლის სპეციალისტმა ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს მისი სფეროს ისტორიას. მაგალითად, გეორგ ელინგი ლექციებს სწორედ ამ კომბინაციით ატარებდა⁸². საკმარისად განსწავლულმა სამართალმცოდნემ კარგად იცის, როგორ მუშაობს (ან როგორ არ მუშაობს) მისი ქვეყნის სამართლებრივი სისტემა. უფრო მეტიც, თუ ისტორიაც იცის, იოლად შეიძლება შეადაროს სხვადასხვა სამართლებრივი სისტემა, რომლებიც ერთმანეთს ენაცვლებოდნენ მოცემულ ქვეყანაში⁸³.

ხშირად, სტუდენტებს სამართლის ისტორიის ლექციების დროს კითხვები აქვთ თანამედროვე სამართლის ცალკეულ საკითხებზე. ლექტორი ვალდებულია სწორედ შედარებითი ანალიზის მიხედვით, მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტს. წარმოუდგენელია საკონსტიტუციო სამართლის ლექტორი, რომელმაც არ იცოდეს უმთავრესი კონსტიტუციური ინსტიტუტების წარმოშობის ისტორია, მათი განვითარების ზოგადი კანონზომიერებანი.

* თანამედროვე სამართლის თეორიასა თუ პრაქტიკაში ბევრი სიტყვა გვხვდება, რომელთაც ღრმად აქვთ გადგმული ფესვები წარსულში და მათი სწორი განმარტება სამართლის ისტორიის ცოდნის გარეშე წარმოუდგენელია. ასეთი ტერმინებია, მაგალითად, „მართი“ (ნაწარმოებია „სამართალი“), „ხელი“ (ნაწარმოებია „ხელმწიფე“, „სახელმწიფო“, „ხელისუფლება“ და სხვა), „რიგი“, „წესი“ („წესრიგი“), „გაჩენა“ („განჩინება“, „განაჩენი“), „სჯა“ („სჯული“, „სჯა“, „განსჯა“, „მსაჯული“), „ბჭე“ („ბჭობა“, „განბჭობა“, „საბჭო“), „სისხლის“ („სისხლის აღება“, „სასისხარი საქმე“, „სისხლის სამართალი“) სამართლის ისტორია, ასევე გვანჯლის ცნობებს ქართულ იურიდიულ ლექსიკაში დღემდე დამკვიდრებული უცხოური ტერმინების შესახებ. მაგალითად, ასეთი ტერმინია „იურისტი“ (ლათინური სიტყვა: iura, ius და ნიშნავს სამართალს).

77 Rechtsgeschichte. 2012. Von der Römischen Antike bis zur Neuzzeit. Hähnchen S., Ebel F., Thielmann G. 4. Auflage. S. 1.

78 Thieme H., S. 275.

79 Thieme H., S. 275.

80 Thieme H., S. 277.

81 Thieme H., S. 280.

82 Thieme H., S. 281.

83 ლეონი ბ., 2015. თავისუფლება და კანონი, თბილისი. გვ. 30.

სამართლის ისტორიის ლექტორი ყოველთვის წინააღმდეგობებს აწყდება ამ თვალსაზრისით, ვინაიდან, მან პასუხი უნდა გასცეს სამართლის თითქმის ყველა დარგის შესახებ დასმულ კითხვებს. სამართლის ისტორიკოსი (ლექტორი) ერთდროულად ლექციებს უძღვება სახელმწიფო სამართლის, სისხლის სამართლის, სამოქალაქო სამართლის, საოჯახო და სამემკვიდრეო სამართლის ისტორიაში. სამწუხაროა, რომ არიან სამოქალაქო სამართლის სპეციალისტები, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ასწავლიან სამოქალაქო სამართალს და არ იციან რომის სამართალი – ან თავს არიდევენ ამ კურსის წაკითხვას. რომის სამართალი თანამედროვე კერძო სამართლის საფუძველია, შესაბამისად, ამ ისტორიული სამართლის ცოდნის გარეშე არ არსებობს სრულყოფილი ცოდნა თანამედროვე კერძო სამართალში.

სამართლის ისტორია უბრალოდ მხოლოდ ისტორიული სამართლის ინსტიტუტებსა თუ ნორმებს კი არ აღწერს, არამედ ის ემსახურება ორ მთავარ მიზანს: პირველ რიგში, სამართლის ისტორიამ უნდა მისცეს ცოდნა სტუდენტს ეროვნული სამართლის შესახებ და, ასევე, მას ის მჭიდრო კავშირები უნდა აჩვენოს, რომელიც არსებობს ისტორიულ და თანამედროვე სამართალს შორის. სამართლის ისტორია ეს უბრალოდ ისტორია არაა, არამედ, როგორც გერმანელი მეცნიერი ჰაინრიხ მიტეასი მიუთითებდა, „შედარებითი სამართლის ისტორია“⁸⁴.

ეროვნული სამართლის ისტორიაში ცოდნა მიიღწევა მსოფლიო სამართლის ისტორიისა და თანამედროვე სამართლის საფუძვლების შესწავლის კომბინაციით. სამართლის ისტორიის კურსის გავლის დროს სტუდენტებს ხშირად აქვთ შეკითხვები სხვა ქვეყნის სამართლის ისტორიის შესაბამის ინსტიტუტებზე. მაგალითად, მათ აინტერესებთ, სისხლის სამართლის ისტორიის ლექციების ფარგლებში მტკიცებულებათა რა ფორმებს

მიმართავდნენ სხვა ქვეყნებში და როგორია მტკიცებულებები თანამედროვე სამართალწარმოების პროცესში. გარდა ამისა, ეროვნული სამართლის ისტორიის სწავლების პროცესი წარმოუდგენელია ჩვეულებითი სამართლის ცოდნის გარეშე. ჩვეულებითი სამართალი ამა თუ იმ ქვეყნის სამართლებრივი ძეგლების უმთავრესი წყარო იყო. სამართლის ისტორიკოსმა უნდა მოახდინოს ადათობრივი და დაწერილი სამართლის შედარებითი ანალიზი. იმისათვის, რომ სამართლის ისტორიაში ლექცია იყოს უფრო კვალიფიციური და საინტერესო იყოს, სამართლის ისტორიკოსი ერთდროულად უნდა ფლობდეს სამართლის რამდენიმე სფეროს. ესენია: ეროვნული სამართლის ისტორია, მსოფლიო სამართლის ისტორია, ჩვეულებითი სამართლის ისტორია და თანამედროვე სამართალი. ამ კომბინაციის შედეგად მიიღწევა სრულყოფილი ცოდნა ზოგადად სამართლის ისტორიაში. ეს კი საბოლოოდ, სამართლის ისტორიას ხდის პრაქტიკულ მეცნიერებას, რომელიც მომავალში იურისტმა უნდა გამოიყენოს. აქიდან გამომდინარე, სამართლის ისტორია მასშტაბია, რომლის თითოეული კომბინაცია მიზნად ისახავს სრულყოფილი ცოდნა მისცეს სტუდენტს ისტორიული და თანამედროვე სამართლის ფუნდამენტურ საკითხებზე.

**„ისტორიზმი“
თანამედროვე ქართულ
კონსტიტუციონალიზმში:
კონსტიტუციის ისტორია,
როგორც თანამედროვე
საკონსტიტუციო სამართლის
ეგზისტენცია**

სამართლის ისტორია თანამედროვე სამართლის წყაროებს შეიცავს. ისტორიულ და თანამედროვე სამართალს შორის მჭიდრო კავშირს „მემკვიდრეობის პრინციპი“ განსაზღვრავს. თანამედროვე სამართალი ისტორიული სამართლის მემკვიდრეა. ეს განსაკუთრებით ჩანს კერძო

84 Thieme H., S. 283.

სამართალში და, ასევე, საკონსტიტუციო სამართალში. მემკვიდრეობითობის კლასიკურ მაგალითებს იძლევა ევროპული სახელმწიფოების კონსტიტუციური განვითარების ისტორია, ასევე ქართული კონსტიტუციონალიზმის უახლოესი ისტორია. საქართველოს 1921 წლის პირველი რესპუბლიკის კონსტიტუციის ძალიან ბევრი ნორმა თუ პრინციპი სიცოცხლისუნარიანობას საქართველოს მოქმედ კონსტიტუციაში ინარჩუნებს.

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია ქართული კონსტიტუციონალიზმის ფუნდამენტია. 90-იანი წლებიდან მოყოლებული დღემდე, საქართველოს ყველა უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს 1921 წლის კონსტიტუციის „სული“ წითელ ზოლად გასდევს.

- საქართველოს უზენაესმა საბჭომ ზვიად განსახურდიას ხელმძღვანელობით 1991 წლის 9 აპრილს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას დაავალა საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის შემუშავება 1921 წლის კონსტიტუციის დებულებათა საფუძველზე*.
- 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტში მნიშვნელოვანი ჩანაწერი არსებობს – საქართველოს 1921 წლის კონსტიტუცია დღესაც მოქმედია და აქვს იურიდიული ძალა.
- 1992 წლის 21 თებერვალს საქართველოს ე.წ. „სამხედრო საბჭომ“ აღადგინა 1921 წლის კონსტიტუციის მოქმედება და ცნო მისი უზენაესობა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე.
- „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ 1992 წლის 6 ნოემბრის კანონის პრეამბულის მიხედვით, საქართველოს ახალი კონსტიტუცია დაეფუძნებოდა 1921 წლის კონსტიტუციის მემკვიდრეობითობას.
- 1993 წელს საქართველოს პარლამენტმა საკონსტიტუციო კომისიას დაავალა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის ჩამოყალიბება, რაც შემდგომ უარყვეს.

მენტმა საკონსტიტუციო კომისიას დაავალა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის ჩამოყალიბება, რაც შემდგომ უარყვეს.

- საქართველოს 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციის პრეამბულაში ჩაიწერა, რომ კონსტიტუცია ეფუძნება 1921 წლის კონსტიტუციის პრინციპებს.
- საქართველოს მოქმედი კონსტიტუციის პრეამბულაში 2010 წლის 15 ოქტომბერს შეტანილი ცვლილებების თანახმად, კონსტიტუცია ეყრდნობა საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ისტორიულ-სამართლებრივ მემკვიდრეობას.

1921 და 1995 წლების კონსტიტუციებს შორის მსგავსებას, პირველ რიგში, ტექსტის სტრუქტურა და ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები განაპირობებს. ამ კვლევის ფარგლებში რთულია, ყველა ნორმას შორის პარალელის გავლება და მათი შედარება. თვალსაჩინოებისთვის რამოდენიმე მუხლი შევარჩიეთ საქართველოს 1921 და 1995 წლების კონსტიტუციებიდან.

- **მუხლი მე-8*:** „კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. არ შეიძლება გამოქვეყნებულ იქნეს კანონი, დეკრეტი, ბრძანება ან განკარგულება, რომელიც კონსტიტუციის დებულებათა და მათი დედა აზრის წინააღმდეგია“.
- **მუხლი მე-6:** „საქართველოს კონსტიტუცია სახელმწიფოს უზენაესი კანონია. ყველა სხვა სამართლებრივი აქტი უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციას“.
- **მუხლი მე-12:** „საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება წარმოშობით, ქორწინებით და ნატურალიზაციით“.
- **მუხლი მე-12:** „საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით და ნატურალიზაციით“.

* სამწუხაროდ, კომისიას ერთი სხდომაც არ ჩაუტარებია.

* ჯერ ციტირებული იქნება საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის, ხოლო შემდგომ 1995 წლის კონსტიტუციის მუხლები.

- **მუხლი მე-40:** „ქორწინება ემყარება უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“. **მუხლი 36-ე, 1-ლი ქვეპუნქტი:** „ქორწინება ემყარება მეუღლეთა უფლებრივ თანასწორობასა და ნებაყოფლობას“.
- **მუხლი 45-ე:** „კონსტიტუციაში ჩამოთვლილი გარანტია და უფლება არ უარყოფს სხვა გარანტიასა და უფლებას, რომელიც იქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობს კონსტიტუციის მიერ აღიარებული პრინციპებისაგან“. **მუხლი 39-ე:** „საქართველოს კონსტიტუცია არ უარყოფს ადამიანისა და მოქალაქის სხვა საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, თავისუფლებებსა და გარანტიებს, რომლებიც აქ არ არის მოხსენიებული, მაგრამ თავისთავად გამომდინარეობენ კონსტიტუციის პრინციპებიდან“.
- **მუხლი 49-ე:** „პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტების გამო, რომელიც მას გააჩნდვს, როგორც დეპუტატს, ეს უფლება არ ეკარგება მაშინაც, როცა დეპუტატად აღარ ითვლება“. **მუხლი 52-ე, მე-3 ქვეპუნქტი:** „პარლამენტის წევრს უფლება აქვს ჩვენება არ მისცეს იმ ფაქტის გამო, რომელიც მას გააჩნდვს, როგორც პარლამენტის წევრს“.
- **მუხლი 50-ე:** „პარლამენტის წევრებს მიეცემათ კანონით განსაზღვრული გასამრჯელო“. **მუხლი 53-ე, მე-3 ქვეპუნქტი:** „პარლამენტის წევრი იღებს კანონით დადგენილ გასამრჯელოს“.
- **მუხლი 78-ე:** „სასამართლო დამოუკიდებელია და მხოლოდ კანონს ემორჩილება“. **მუხლი 84-ე, 1-ლი ქვეპუნქტი:** „მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს“.
- **მუხლი 114-ე:** „საკუთრების იძულებითი ჩამორთმევა ან კერძო ინიციატივის შეზღუდვა შეიძლება მხოლოდ სახელმწიფოებრივი და კულტურული საჭიროებისათვის ცალკე კანონში განსაზღვრული წესით. ჩამორთმეულ ქონებაში მიეცემა სათანადო საფასური თუ კანონში სხვა გვარად არ არის განსაზღვრული“. **მუხლი 21-ე, მე-3 ქვეპუნქტი:** „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას, წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურების პირობით. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან“.

კონსტიტუციის ისტორია, როგორც სასწავლო დისციპლინა?

ისტორიულ კვლევას საკონსტიტუციო სამართალში ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით, მთავარი ყურადღება კვლევისას კონსტიტუციის წინაპირობებს ექცევა. პირველ რიგში, კითხვა ეხება იმას, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა კონსტიტუციას და მის წინაპირობებს ადრინდელ ეპოქებში. კონსტიტუციის წინაპირობები სამართლებრივად შეიძ-

ლება რელევანტურია, ვინაიდან ის ღრმა ისტორიულ მაშტაბებს ავლენს. არსებობს ისტორიულ-კულტურული და სამეცნიერო ინტერესი კონსტიტუციური ნორმების ისტორიული ფესვების მიმართ, მაშინაც კი, როდესაც ეს ნორმები განმარტების პროცესში განსაკუთრებულ როლს არ ასრულებენ⁸⁵.

თანამედროვე სახელმწიფო სამართლის შესახებ ცოდნა შეუძლებელია მისი ისტორიული წინამძღვრების გარეშე. ძალიან მჭიდრო კავშირი აქვს აგრეთვე ფილოსოფიური ფაკულტეტის ისტორიკოსებს კონსტიტუციის ისტორიის დარგთან. აქ იურისტი სწავლობს ისტორიკოსებისგან და ისტორიკოსები იურისტებისგან⁸⁶.

ბევრი მკვლევარი მხარს უჭერს კონსტიტუციის ისტორიის, როგორც სასწავლო დისციპლინის არსებობას უნივერსიტეტებისათვის⁸⁷. გასათვალისწინებელია ისტორიული საკონსტიტუციო ნორმების, ინსტიტუტებისა თუ პრინციპების მნიშვნელობა თანამედროვე საკონსტიტუციო სამართლისათვის. თუ კონსტიტუციის ისტორია შეისწავლის საკონსტიტუციო სამართლის ინსტიტუტების წარმოშობის მიზეზებს, განვითარების ტენდენციებს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას მჭიდრო კავშირი აქვს თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასურველია რომის სამართლის მსგავსად, კონსტიტუციის ისტორია, როგორც სასწავლო დისციპლინა, შემოიღონ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

კონსტიტუციის ისტორია იძლევა საკონსტიტუციო სამართლის ინტერპრეტაციის საშუალებას⁸⁸. უნდა გვახსოვდეს რომ, ის მხოლოდ ისტორიული ასპექტით

არ შემოიფარგლება⁸⁹ და დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე საკონსტიტუციო სამართალზე, ვინაიდან, ისტორიული განვითარების ცოდნა საკონსტიტუციო სამართლისა და კონსტიტუციის არსის სწორი გაგების ერთერთი წინაპირობაა⁹⁰.

დასკვნა

ისტორიული სამართლის კვლევა ევროპული სამართლის მეცნიერებაში ერთერთი საკვანძო მიმართულებაა. სამართლის ისტორია თავის აქტუალობას დღემდე ინარჩუნებს.

სამართლის ისტორია კულტურულ მეცნიერებებს მიეკუთვნება. იგი შეისწავლის სამართალში რეცეფციის კულტურულ პროცესებს. სამართლის ისტორია სამართლის რეცეფციის ისტორიაა. სამართლის ისტორია არაა მხოლოდ „სამართლის ისტორია“. იგი შედარებითი სამართლის ისტორიაა.

სამართლის ისტორია ინტერდისციპლინაა. მისი ქვედარგები შეისწავლიან სამართლის ცალკეული დარგების წარმოშობისა და განვითარების ისტორიას. ყველაზე მეტად ინსტენსიური კვლევის სფეროებია კერძო სამართლი და კონსტიტუციის ისტორია.

სამართლის ისტორიას შემეცნებითთან ერთად პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. სამართლის ისტორიის მონაცემები გამოიყენება თანამედროვე კანონშემოქმედებით საქმიანობაში. სამართლის ისტორია სამართლის ძიებაა. ამ თვალსაზრისით, სამართლის ისტორია კანონმდებლისათვის არგუმენტაციულია. ძველი ნორმებისა თუ ძველი სამართლებრივი ინსტიტუტების თანამედროვე რეალობაში არსებობა

85 Schröder U., 2014. Verfassungsvoraussetzungen – rechtshistorisch betrachtet. in: Rechtsgeschichte (Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte). 22. S. 338.

86 Thieme H., S. 288.

87 Thieme H., S. 289.

88 Frotscher W., Pieroth B., 2013. Verfassungsgeschichte, 12., Auflage, München, S. 1.

89 Koselleck R., 1983. Begriffsgeschichtliche Probleme der Verfassungsgeschichtsschreibung, in: Der Staat, Zeitschrift für Staatslehre öffentliches Recht und Verfassungsgeschichte, Beiheft 6, Gegenstand und Begriffe der Verfassungsgeschichtsschreibung, Hrsg. Ernst-Wolfgang Böckenförde/Rolf Grawert/Fritz Ossenbühl/Helmut Quaritsch/Eberhard Weis/Bernard Willms, Berlin. S. 21.

90 Morlok M., 1988. Was heisst und zu welchem Ende studiert man Verfassungstheorie, Berlin. S. 30.

ან მომავალში მათი დამკვიდრება, თავისთავად, სამართლის ისტორიას არგუმენტაციულ ბუნებას ანიჭებს. სამართლის ისტორია, ხშირად, კანონმდებლის საქმიანობისათვის ლეგიტიმაციის წყაროა. სამართლის ისტორიის არგუმენტაციული ბუნება იმაშია, რომ ის გვიჩვენებს წარსულიდან სამართლის ამა თუ იმ ინსტიტუტის სიცოცხლისუნარიანობას (ეფექტიანობას) და კანონმდებლობაში მათი გამოყენების შესაძლებლობებს.

სამართლის ისტორიას, ასევე, ნორმის ინტერპრეტაციისათვის არგუმენტაციული წონა გააჩნია. ისტორიული განმარტების გარეშე წარმოუდგენელია სამართლის მთელი რიგი ნორმების შინაარსის დადგენა (სუბიექტური განმარტება).

სამართლის ისტორიის ცოდნა აუცილებელი თანამედროვე სამართლებრივი

ინსტიტუტებისა და პრინციპების არსის გასარკვევად. შესაბამისად, სამართლის ისტორიასა და თანამედროვე სამართალს შორის მჭიდრო კავშირია.

სამართლის ისტორიაში ცოდნა დარგების კომბინაციით მიიღწევა. ცალმხრივად, მხოლოდ ეროვნულ-ისტორიულ სამართლებრივ სისტემაზე ორიენტირება, შედეგის მომტანი არაა.

2012 წლის 20 იანვრის №ას-1156-1176-2011 გადაწყვეტილება.

28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 18 მაისის №ას-1001-962-2014 გადაწყვეტილება.

29 იხ. რცხილაძე ვრ., 1928. მორალური ზიანის ანაზღაურება, უურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, გვ. 80-81.

30 იქვე.

31 იხ. კერესელიძე დ., 2009. კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, გვ. 157-158.

32 იხ. ნინიძე თ., 1978. მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალი, უურნალი „საბჭოთა სამართალი“, №2, გვ. 54.

დი ფორმით ანაზღაურების წესის შემოტანას ასაბუთებდა, უკავშირდება იმას, რომ სხვადასხვა ევროპული ქვეყნის სამართალი ითვალისწინებს მორალური ზიანის ანაზღაურებას. თუმცა, იმის მიხედვით, როდის მოხდეს მორალური ზიანის ანაზღაურება და რა პრინციპის საფუძველზე, შეიძლება გამოიყოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ორი მოდელი: ა) ფართო, იგივე ლიბერალური და ბ) „მკაცრი“, ანუ ვიწრო მიდგომები. პირველი სისტემის თანახმად, მორალური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს პრაქტიკულად ყოველთვის (კანონში მითითებული გამონაკლისების გარდა). მას ავტორი მსგავსების გამო მოიხსენიებს, როგორც „ფრანგულ-ინგლისურ სისტემას“. რაც შეეხება ვიწრო მიდგომას, აქ არაქონებრივი ზიანი უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში.³³

ფაქტობრივად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით, საფრანგეთმა პირველმა დაამკვიდრა ლიბერალური მიდგომა, რომლის ერთგულიცაა დღემდე.³⁴ დღესაც საფრანგეთის კანონმდებლობაში არამატერიალური ზიანი არ განიხილება ზიანის სახედ. შესაბამისად, არაქონებრივი ზიანის მიყენებისას სამოქალაქო პასუხისმგებლობის საფუძველები ფაქტობრივად ემთხვევა ზიანის დროს პასუხისმგებლობის ზოგად წინაპირობებს.³⁵ როგორც საფრანგეთის კანონმდებლობა, ისე სასამართლო პრაქტიკა არ ზღუდავს პირად არაქონებრივ უფლებებსა და სიკეთეებს რაიმე განსაზღვრული ჩამონათვალთ. ამიტომ დაშვებულია არაქონებრივი ზიანის კომპენსირება ძალიან ბევრ

შემთხვევაში, რაც ობიექტურად ზრდის ამ სიკეთეების სამართლებრივ დაცვას.³⁶ ამასთან, ამჟამად ფაქტობრივად საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკაში გაჩნდა გადაწყვეტილებები, რომლებიც ეხებოდა მატერიალურ ზიანთან მჭიდროდ დაკავშირებული მორალური ტრავმისთვის ანაზღაურებას. შესაბამისად, საფრანგეთის სასამართლო დღესდღეობით ითვალისწინებს კრედიტორის მორალურ თუ სულიერ ინტერესს სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაშიც.³⁷ ამდენად, საფრანგეთში (ასევე, ინგლისში) გაცილებით შეუზღუდავად (ფართოდ) ხდება არამატერიალური ზიანის ანაზღაურება, ვიდრე ეს გერმანიაშია. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებისთვის ფრანგულ სამართალში (მსგავსად ინგლისისა) საკმარისია მცირემნიშვნელობის ზიანის დამტკიცებაც. ამასთან, ევროპული კავშირის სამართალი არამატერიალური ზიანის სისტემატიზაციასთან დაკავშირებით ორიენტირებულია ინგლისურ და ფრანგულ სამართალზე.³⁸

გერმანიის სამოქალაქო სჯულდება ითვალისწინებდა 2002 წლის ცვლილებამდე სწორედ ამ სისტემას. თუმცა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (შემდგომში – გსკ) 2002 წელს განხორციელებული ცვლილებების თანახმად, 253-ე მუხლს³⁹ დაემატა სექსუალური თვითგამორკვევისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად მისი სქესისა. ამასთან, არამატერიალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ნებისმიერი არაქონებრივი სიკეთის, მათ შორის ზოგადი პიროვნული უფლების და არა მხოლოდ

33 იხ. რუხილაძე ვრ., 1928. მორალური ზიანის ანაზღაურება, ურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, გვ. 81.
 34 Palmer V. V., 2015. Dommages moraux : L'éveil français au 19eme siècle (Moral Damages: The Fecnh Awakening in the 19th Century), RIDC, 1-2015, Tulane University School of Law Public Law and Legal Theory Working Paper Series Working Paper, No. 15, 7 May, S. 1-3.
 35 ბარაბაძე ნ., 2012. მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბილისი, გვ. 40.

36 Honore A. M., 1971. Causation and Remoteness of Damage. In International Encyclopedia of Comparative Law, Vol. XI, Ch. 7. The Hague: M. Nijhoff, S. 108, ციტირებულია: ბარაბაძე ნ., 2012, მორალური ზიანი და მისი ანაზღაურების პრობლემა, თბილისი, გვ. 41.
 37 Litvinoff S., 1977. Moral Damages, Journal "Louisiana Law Review", Volume 38, Number 1, S. 2-4.
 38 Wurmnest W., 2003. Grundzüge eines europäischen Haftungsrechts: eine rechtsvergleichende Untersuchung des Gemeinschaftsrechts, Tübingen, S. 288, 300-301.
 39 BGB § 253.

253-ე მუხლის II ნაწილში მოცემული პირადი სიკეთეების შელახვისას.⁴⁰ ამ მუხლის ეს ნაწილი ქმნის არა ცალკე მდგომ მოთხოვნის საფუძველს, არამედ წინაპირობად ითვალისწინებს მოვალის მიერ ზიანის ანაზღაურების კანონისმიერ ვალდებულებას, როგორცაა, მაგალითად, გსკ-ის 823-ე მუხლი. უმნიშვნელო არაქონებრივი ზიანი სასამართლო პრაქტიკაში არ ანაზღაურდება.⁴¹ ამდენად, ცვლილების მიზანი იყო არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევების გაფართოება და შეძლებისდაგვარად საკითხის ამომწურავად დარეგულირება.⁴²

ამასთან, ვიწრო მიდგომა დღესაც აქტუალურია ქართული რეალობისთვის. მართალია, საქართველო გერმანიის გზას დაადგა⁴³, მაგრამ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევებთან დაკავშირებით დარჩა ტელეოლოგიური რედუქციის ერთგული. დღესდღეობით მორალური ზიანის ანაზღაურებას ეძღვნება სსკ-ის 413-ე მუხლი, რომლის I ნაწილის მიხედვით, არაქონებრივი ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ „კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში“ „გონივრული“ და „სამართლიანი“ ანაზღაურების სახით. „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში“ მოიაზრება არა მხოლოდ სსკ-ით, არამედ საჯარო სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული შემთხვევებიც.⁴⁴ არაქონებრივი ზიანის ანაზღა-

ურების მოთხოვნის დაკმაყოფილება გამორიცხულია, თუ კანონით პირდაპირ არაა ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება დადგენილი. ამდენად, ნორმაში მხოლოდ „ზიანის ანაზღაურებაზე“ მითითებისას იგულისხმება, რომ უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანი.⁴⁵ ამასთან, ის უნდა ანაზღაურდეს ქონებრივი ზიანისგან დამოუკიდებლად, მიუხედავად იმისა, არამატერიალურ ზიანთან ერთად დადგა თუ არა ქონებრივი ზიანი და ეს უკანასკნელი ანაზღაურდა თუ არა.⁴⁶ ესე იგი, გაზიარებულია გრიგოლ რცხილაძის მიდგომა იმაზე, რომ უნდა არსებობდეს მორალური ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურების წესი, მაგრამ არა ნებისმიერი უსიამოვნებისთვის. შესაბამისად, ავტორმა დასაწყისშივე გამიჯნა არსებითი ზიანი უმნიშვნელო ზიანისგან და ლოგიკურად განსაზღვრა, რომ მორალური ზიანი უნდა ანაზღაურდეს მხოლოდ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით.⁴⁷ საქართველოს ამჟამინდელი სამოქალაქო კოდექსის მნიშვნელოვანი სიახლეა მორალური ზიანისთვის მატერიალური ანაზღაურების პრინციპის შემოღება. ამდენად, დღესდღეობით ბრალეული შელახვისას პირს წარმოეშობა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებაც (სსკ-ის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილი).⁴⁸

არაქონებრივი ზიანის მნიშვნელობაზე საუბარი ზედმეტია, უფრო მეტიც მას ხშირად ბევრად მძიმე შედეგი მოაქვს

40 Müller S., 2007. Überkompensatorische Schmerzengeldbemessung? Ein Beitrag zu den Grundlagen des 253 Abs. 2 BGB n. F., Berliner Reihe – Versicherungswissenschaft in Berlin, Band 29, Berlin, S. 9.

41 კროპოლოერი ი., 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი – სასწავლო კომენტარი, თარგმნეს ზ. ჭეჭელაშვილმა და თ. დარჯანიამ, თბილისი, გვ. 135-136.

42 იხ. დოლონაძე ლ., 2010. მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, გვ. 22.

43 იხ. ზოიძე ბ., 2005. ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, გვ. 105.

44 აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იხ. ძლიერიშვილი ზ., 2013. მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, უურნალი „ადვოკატი“, №2, გვ. 32-33.

45 იხ. ცისკაძე მ., 2008. სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების პრობლემა საქართველოს კანონმდებლობაში, უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №2, გვ. 17.

46 იხ. ჩიკვაშვილი შ., 2003. დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში: „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“ (რედ. შენგელია რ.), თბილისი, გვ. 188.

47 იხ. რცხილაძე გრ., 1928. მორალური ზიანის ანაზღაურება, უურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, გვ. 81-82.

48 იხ. ჭანტურია ლ., 1997. პირადი არაქონებრივი უფლებები თანამედროვე სამოქალაქო სამართალში, უურნალი „სამართალი“, №11-12, გვ. 30, 28.

ადამიანისათვის, ვიდრე ქონებრივ ზიანს. საქმე ისაა, რომ არამატერიალური ზიანის ანაზღაურება კანონით, პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამართლიანად გულისხმობს, რომ მნიშვნელოვანი სამართლებრივი სიკეთის (პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია, სიცოცხლე, ჯამრთელობა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და სხვა) ხელყოფისა და მნიშვნელოვანი (მძიმე) არაქონებრივი ზიანის არსებობისას იძლევა კანონმდებლობა მისი ანაზღაურების შესაძლებლობას. ამით კანონმდებელმა ფაქტობრივად გამიჭნა არსებითი და არაარსებითი ზიანი; არაქონებრივი ზიანის ანაზღაურდება, თუ ზიანი სამართლებრივად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია.⁴⁹ მაგალითად, სსკ-ის მე-18 მუხლის VI ნაწილის მიხედვით, სახელის უფლების, როგორც აბსოლუტური უფლების, შელახვით წარმოიშობა დელიქტური ვალდებულება. სახელის მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ხელყოფისას დაზარალებულს შეუძლია, მოითხოვოს არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება (სსკ-ის 992-ე მუხლი).⁵⁰

ავტორს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ მორალური ზიანის ეკვივალენტი ვერ იქნება ფულადი ანაზღაურება, ვინაიდან მორალი და ფული ანტიპოდებია, მათი გათანაბრება დაუშვებელია. თუმცა იქვე გამოკვეთა რა ზიანის მიყენების დროს უმნიშვნელოვანესი ფაქტორი – დაზარალებულის ქონებრივი მდგომარეობის აღდგენა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფულადი კომპენსაცია დაზარალებულისთვის გარკვეულწილად მორალური დაკმაყოფილების (სატისფაქციის) მნიშვნელობას იძენს. ზიანის რეპარაციის შესაბამისი საშუალება არ არსებობს. ამ შემთხვევაში ფულადი ანაზღაურება მხოლოდ სუროგატია და არა პირდაპირი

სარეპარაციო იარაღი, თუმცა უკეთესი საშუალების უქონლობის პირობებში დგება საკითხი, ან სრულიად უსანქციოდ დარჩეს მორალური ზიანის მიყენება, ან ფულადი ფორმით ანაზღაურდეს. უსანქციოდ რაიმე უფლების დატოვება თვით ამ უფლების უარყოფას უტოლდება და ამიტომ უკეთესი საშუალების უქონლობის გამო მიზანშეწონილია, სამართალი ფულადი კომპენსაციით მაინც მფარველობდეს იმ უფლებებს, რომელთა შელახვასაც მორალური ზიანი მოჰყვება.⁵¹

ამდენად, ვინაიდან არაქონებრივი ზიანი სპეციფიკურობის გამო სრულად ვერ ანაზღაურდება, აქ კომპენსაცია მოემსახურება ტკივილების შემსუბუქებას. ცხადია, მოსარჩელეს შეუძლია, სასარჩელო განცხადებაში ასახოს მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისთვის ფულადი თანხა, რომელიც მის მოსაზრებას ეფუძნება, მაგრამ ანაზღაურების მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს მოთხოვნის ფარგლებში.⁵²

6. მორალური ზიანის ანაზღაურების ამოცანები და კრიტერიუმები

არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების დროს უმთავრესია დაზარალებულის მდგომარეობის რეაბილიტაცია, რაც, ძირითადად, კერძოსამართლებრივი მეტოდებით მიიღწევა. მაგალითად, ადამიანის წარუხოცელი დამახინჯებისა თუ შრომისუნარიანობის სრული დაკარგვის დროს მორალური ზიანის ანაზღაურება კომპენსაციურ ხასიათს ატარებს, ხოლო თვით მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სატისფაქციური ბუნებისაა, ვინაიდან მისი დაკმაყოფილების შემდეგ დაზარალებულს შეუძლია სხვა სულიერი თუ

49 აღნიშნულთან დაკავშირ. იხ. დოლონაძე ლ., 2010. მორალური ზიანის ანაზღაურება (სადოქტორო დისერტაცია), თბილისი, გვ. 174-175, 181.

50 იხ. ბიჭია მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, გვ. 149-150.

51 იხ. რუსილაძე გრ., 1928. მორალური ზიანის ანაზღაურება, ურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, გვ. 81-82.

52 აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. ძლიერიშვილი ზ., 2013. მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, ურნალი „ადვოკატი“, №2, გვ. 32-33.

ქონებრივი ინტერესების განხორციელება. ამ შემთხვევებში რესტიტუცია ვერ მიიღწევა. ამასთან, უდავოა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურებას პრევენციული დატვირთვაც აქვს. ამდენად, მორალური ზიანის ანაზღაურება შეიძლება ჩაითვალოს, როგორც დაზარალებულის დარღვეული უფლების აღიარების ერთ-ერთი საშუალება,⁵³ ხოლო მისი უგულებელყოფით ხდება უმნიშვნელოვანესი ღირებულების, პიროვნების, უარყოფა.

აქ გასათვალისწინებელია არამატერიალური ზიანის ანაზღაურების გონივრულობისა და სამართლიანობის კრიტერიუმები, რომლებიც უნდა გამოიხატოს სოციალური ამოცანების განხორციელებით. ამ გაგებით, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას სამი ფუნქცია აქვს: დააკმაყოფილოს დაზარალებული, ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე და თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. ამ ფუნქციათა კომბინაცია არის არამატერიალური ზიანის ანაზღაურების ერთიანი მიზანი, რომელიც არაქონებრივი ზიანის ფულად ანაზღაურებაში უნდა აისახოს. ამასთან, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების უმთავრესი მიზანია სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა. კომპენსაციური ფუნქციის განხორციელების უპირველესი ფაქტორია ფსიქიკური ზიანი ანუ სულიერი ტკივილი, რომელიც პიროვნული უფლებების შელახვის შედეგად დადგა. თუ ფსიქიკურმა ზიანმა გამოხატულება ჰპოვა დაზარალებულის ფიზიკურ მდგომარეობაშიც, მაშინ საქმე ეხება ასანაზღაურებელი ზიანის მნიშვნელოვან მასშტაბებს.⁵⁴ ამ შემთხვევაში უნდა მოიპოვებოდეს პასუხისმგებლობის აღმზრდელობით-გამაფრთხილებელი ზე-

მოქმედების გამოვლენა რეპრესიის გამოყენების შესაძლებლობასა და ზიანის ანაზღაურების მოვალეობის დაკისრებაში. აქ გამოკვეთილია, რომ ქონებრივი რეპრესია განიხილება პრევენციის მოქმედების პირობად.⁵⁵ ამასთან, არამატერიალური ზიანის ფულადი კომპენსაციით დაკმაყოფილების ფუნქცია გარდაცვლილის დროს ვერ სრულდება, შესაბამისად, გარდაცვალებისას არამატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდება.⁵⁶ თუმცა დაზარალებულის გარდაცვალების გამო ახლობლის მძიმე ფსიქიკური თუ სულიერი ტანჯვისას ახლობელი შეიძლება განიხილებოდეს მორალური ზიანის ანაზღაურების უფლების დამოუკიდებელ სუბიექტად.⁵⁷ შესაბამისად, შეილება რა ამ სუბიექტის პირადი სიკეთე (ჯანმრთელობა)⁵⁸, მას წარმოეშობა უფლება, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს ზოგად საფუძვლებზე დაყრდნობით (სსკ-ის 413-ე და 992-ე მუხლები).

გრიგოლ რცხილაძემ გამოკვეთა რა მორალური ზიანის შემთხვევათა სპეციფიკა, სამართლიანად შენიშნა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრა უნდა მოახდინოს სასამართლომ თავისუფალი შეხედულებისა და კონკრეტული გარემოებების მიხედვით. ავტორის აზრით, ამ შემთხვევაში სასამართლო უფრო მეტი ნდობით აღიჭურვება, რაც პირდაპირპროციულად აისახება სამართლიანობის მიღწევაზეც.⁵⁹ ამავე მოსაზრების განვითარებად უნდა

53 იხ. ნინიძე თ., 1978. მორალური ზიანის პრობლემა სამოქალაქო სამართალში, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №2, გვ. 55.

54 იხ. ნინიძე თ., 2002. პირადი არაქონებრივი უფლებები, სსკ-ის კომენტარი, წ. I, თბილისი, გვ. 74-76.

55 იხ. Варкалло В., 1978. Об Ответственности по гражданскому праву (возмещение вреда – функции, виды, границы), Перевод с польского В. Залеского, Москва, стр. 38, 44-45.

56 კროპოლერი ი., 2014. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი – სასწავლო კომენტარი, თარგმნეს ზ. ჭყეღლაშვილმა და თ. დარჯანიამ, თბილისი, გვ. 636.

57 იხ. ჩიკვაშვილი შ., 2003. პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბილისი, გვ. 132-133, 161.

58 იხ. ბიჭია მ., 2012. პირადი ცხოვრების დაცვა საქართველოს სამოქალაქო სამართლის მიხედვით, თბილისი, გვ. 252-253.

59 იხ. რცხილაძე გრ., 1928. მორალური ზიანის ანაზღაურება, ჟურნალი „საბჭოთა სამართალი“, №4, გვ. 82.

აღვიქვით დღესდღეობით მოქმედი პრინციპი, რომ სასამართლომ ყველა კონკრეტულ შემთხვევაში კომპენსაციის ოდენობა უნდა განსაზღვროს არა ეკვივალენტურობის პრინციპის, არამედ პირის ინდივიდუალურ თავისებურებების მიხედვით, როგორცაა თვით ამ ზიანის ხარისხი და ხასიათი, მხარეთა მატერიალური მდგომარეობა. ამასთან, საგულისხმოა, რომ როგორც მსუბუქი სულიერი განცდები, ისე მსუბუქი ფიზიკური ტკივილი მხედველობაში არ მიიღება.⁶⁰ ასევე, გასათვალისწინებელია ფიზიკური და სულიერი ტკივილის ხარისხი, ზიანის მიმყენებლის ბრალის (როცა ეს პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა) დასხვა გარემოებები. თუარამატერიალური ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას ქონებრივ ზიანთან ერთად (მაგალითად, ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენებისას პირმა განიცადა სულიერი ტკივილი, რის გამოც გასწია მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯები), არაქონებრივი ზიანის ოდენობა უბრალოდ არ უნდა დაემატოს ქონებრივი ზიანის ოდენობას, თუმცა პრაქტიკა ზოგჯერ ამას გვიჩვენებს.⁶¹

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ნორმის ტელეოლოგიური რედუქციაც იძლევა იმის საფუძველს, რომ მხოლოდ მნიშვნელოვანი არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდეს სათანადო დასაბუთების დროს. უბრალოდ ამ შემთხვევაში მოსარჩელის მტკიცების ტვირთი შედარებით გართულებულია.

დასკვნითი დებულებები

როგორც გრიგოლ რცხილაძის ნაშრომის ანალიზმა ცხადყო, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება ურთულეს პრობლემათა კატეგორიას განეკუთვნება. თვით ზიანის ბუნება უნდა დადგინდეს იმის მიხედვით, რამდენად შეიძლება მისი

ფულადი ეკვივალენტის მოძებნა. ამასთან, სტატიაში გამოიკვეთა, რომ არაარსებითი არაქონებრივი ზიანი არ ანაზღაურდება. ანალოგიური პრინციპი აისახა კიდევ დღეს მოქმედ სსკ-ის 413-ე მუხლის I ნაწილში, რომლისთანახმად, მორალური ზიანისთვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ამ ნორმით გამორიცხულია არაქონებრივი ზიანის ანაზღაურება, თუ კანონით პირდაპირ არ არის ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება დადგენილი. ასევე, განისაზღვრა, რომ ჯანმრთელობის შელახვა სპეციფიკური ზიანია, რომელმაც შეიძლება მორალური ზიანი წარმოშვას. ანალოგიური წესია გათვალისწინებული სსკ-ის 413-ე მუხლის II ნაწილში, რომლითაც სხეულის ან ჯანმრთელობის ხელყოფისას წარმოიშობა არაქონებრივი ზიანი. თუმცა ჯანმრთელობის ყოველი შელახვა აპრიორი არ გულისხმობს არამატერიალური ზიანის ანაზღაურებას. არაქონებრივი ზიანი ანაზღაურდება, თუ (ა) ჯანმრთელობას მიაღდა ზიანი და (ბ) ამას მოჰყვა სულიერი, ფსიქიკური ტანჯვა (წინაპირობათა კუმულაცია). ამასთან, შესასძლოა, გარკვეულ ქმედებას მოჰყვეს სულიერი ტანჯვა, მაგრამ ის ანაზღაურდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამდენად, კანონმდებელმა მორალური ზიანის ანაზღაურება, მისი სპეციფიკის გათვალისწინებით, ტელეოლოგიური რედუქციის ფარგლებში მოაქცია, შესაბამისად, მაქსიმალურად დაავიწროვა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების შემთხვევათა წრე.

ამასთან, ავტორმა ფოკუსირება მოახდინა იმაზეც, რომ სამართალმა უნდა შეასრულოს თავისი დაცვითი ფუნქცია მატერიალური და არამატერიალური სიკეთეების უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ მიზნით უნდა იყოს შემოღებული არაქონებრივი ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურების წესი. აღნიშნული პოზიციის დასასაბუთებლად

60 იხ. ჩიკვაშვილი შ., 2003. პასუხისმგებლობა მორალური ზიანისთვის, თბილისი, გვ. 105, 97-98.
 61 ძლიერიშვილი ზ., 2013, მომეტებული საფრთხის წყაროთი მიყენებული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 999-ე მუხლის მაგალითზე, უურნალი „ადვოკატი“, №2, გვ. 33-34.

მიხეილ ბიჭია

ავტორმა მოიყვანა განვითარებული ევროპული ქვეყნების მიდგომები, რომლებშიც აღიარებულია მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპი და მართებული იქნებოდა, საქართველოშიც დამკვიდრებულიყო ეს ევროპული სტანდარტი. მართალია, არამატერიალური ზიანის დროს შეუძლებელია პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა, მაგრამ ეს არ ნიშნავს მორალური ზიანის ანაზღაურების უგულებელყოფას, ვინაიდან მისი ანაზღაურება კომპენსაციური ბუნებისაა.

გარდა ამისა, კვლევამ დაადასტურა, რომ მორალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის დადგენისას უნდა იყოს გათვალისწინებული ინდივიდუალური თავისებურებები (ზიანის ხარისხი და ხასიათი, მხარეთა მატერიალური მდგომარეობა, ზიანის სიმძიმე და სხვა). საქმე ისაა, რომ ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მორალური ზიანის თითოეული შემთხვევა და კრიტერიუმებიც კონკრეტულად განისაზღვროს, ვინაიდან, ერთი მხრივ, ცალ-

ცალკე მათი დადგენა ყოველ კონკრეტულ საქმეში შემთხვევათა სხვადასხვაობას ითვალისწინებს, მეორე მხრივ კი, კანონისმიერი შეზღუდვის არარსებობა სასამართლოს პრაქტიკის განვითარებას შეუწყობს ხელს. შესაბამისად, საბოლოოდ ყოველი შემთხვევის ინდივიდუალურად შეფასება უმნიშვნელოვანესია, რათა შესრულდეს არაქონებრივი ზიანით გამოწვეული სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკომპენსაციო, პრევენციისა და სატისფაქციის ფუნქციები. ამდენად, კვლევამ აჩვენა, რომ მორალური ზიანის ფულადი ფორმით ანაზღაურება უფრო ეფექტური იქნებოდა პიროვნების სრულყოფილი დაცვისთვის. ამ თვალსაზრისით, აშკარაა, რომ თანამედროვე ცივილიზტიკისა თუ სასამართლო პრაქტიკის განვითარება სწორედ გრიგოლ რცხილაძის მიერ დაახლოებით საუკუნის წინ კონსტრუირებულ პოსტულატებს უნდა უმაღლოდეს.

ბიბლიოგრაფია:

1. Bichia M., 2017. The Georgian Model of Compensation of Non-property Damage for Violating Personal Rights in Line with European Standards, "Journal of Law", №1, p.5-25.
2. მიქაძე გ., 1984. ფსევდონიმების ლექსიკონი, თბილისი.
3. Staake M., 2014. Gesetzliche Schuldverhaeltnisse, Heidelberg.

ANALYSIS OF GRIGOL RCKHILADZE'S WORK ON "COMPENSATING THE MORAL DAMAGE"

Michael Bichia

*Doctor of Law, Visiting Lecturer of the TSU Law Faculty,
Associate Professor of European Teaching University and
David Aghmashenebeli University of Georgia, Advocate*

KEY WORDS: Non-property Damage, Compensation, Satisfaction

RESUME

Field of activity of this article's author Grigol Rtskhiladze is diverse. He was a lawyer, a literary critic, and a scientist.

Analysis of Grigol Rtskhiladze's scientific article has shown that compensating non-material damage belongs to the category of serious problems. At the same time, it is determined that the nature of damage can be determined according to how much cash equivalence it will have.

The article revealed that the unsubstantial non-property damage is not compensated. The same principle is actually laid out in Article 413, paragraph 1, in which it is stated that the moral damages shall be compensated only in cases prescribed by the law by the reasonable and equitable compensation. Thus, taking into consideration its specificity, legislator confined compensation for moral damages within the teleological reduction, thus limiting the amount of cases compensating non-harmful damage. Additionally, it has been determined that not all the cases of health damage imply the compensation for non-material damage. The non-property damage is compensated if (a) health dam-

age was inflicted and (b) it resulted in emotional, mental suffering (cumulative prerequisites).

Research showed that law should fulfil its protective purpose to ensure material, as well as non-material goods. This should be the exact purpose for introducing monetary compensation of non-property damage. Author presented approaches of developed European countries to justify this position. They recognize a principle of compensation of moral damage and establishing this European standard in Georgia would be appropriate. Moreover, research showed that specific characteristics (the quality and character of damage, material condition of both sides, weight

of the damage and other conditions) should be taken into account while establishing amount of moral compensation. Thus, it is of utmost importance to evaluate each case independently for fulfilment of public responsibility functions, such as compensation, prevention and satisfaction functions, caused by non-property damage. Furthermore, research showed that compensating moral damage with monetary means would be more effective for complete protection of a person. In this sense, it is clear that development of modern civilistics and judicial practice should be thankful to postulates constructed by Grigol Rtskhiladze about a century ago.

NOTES:

1. see Babunashvili Z., Nozadze T., 1994. Patriots' afterlife, Didube Pantheon, Tbilisi, p. 316 (In Georgian).
2. see Sidamonidze U., 1970. Historiography of bourgeois-democratic movement and victory of socialist revolution in Georgia (1917-1921 yy.), Tbilisi, p. 195 (In Georgian).
3. see Babunashvili Z., Nozadze T., 1994. Patriots' afterlife, Didube Pantheon, Tbilisi, p. 316 (In Georgian).
4. see Kharatishvili G., 1975. From the history of public activity of Georgian advocates, Tbilisi, p. 75 (In Georgian).
5. Zangi=Grigol (Gigo) Rtskhiladze but, Gola Chitadze was using the same pseudonym as well. Grigol Rtskhiladze is mistakenly referred as an author in "Georgian book". Gola was earlier than Grigol. see Mikadze G., 1957. A Dictionary of Pseudonyms, G. Leonidze literature museum, handwritten, Tbilisi, p. 116 (In Georgian). It turns out that Grigol Rtskhiladze was dark skinned and, probably, that's why he chose pseudonym of Zangi (which means African American). see Vartagava I., 1962. Memoires, II, Tbilisi, p. 356 (In Georgian).
6. see Kharatishvili G., 1970. Work of Georgian Advocates in Science, publicism, literature critics and arts, Journal "Societ Law", N5, p. 59 (In Georgian); see too Vartagava I., 1962, Memoires, II, Tbilisi, p. 352 (In Georgian).
7. see Kharatishvili G., 1975. From the history of public activity of Georgian advocates, Tbilisi, p. 75-76 (In Georgian).
8. see Vartagava I., 1962. Memoires, II, Tbilisi, p. 352-353 (In Georgian).
9. see Sidamonidze U., 1970. Historiography of bourgeois-democratic movement and victory of socialist revolution in Georgia (1917-1921 yy.), Tbilisi, p. 195 (In Georgian).
10. see Babunashvili Z., Nozadze T., 1994. Patriots' afterlife, Didube Pantheon, Tbilisi, p. 316 (In Georgian).
11. see Kharatishvili G., 1975. From the history of public activity of Georgian advocates, Tbilisi, p. 80 (In Georgian).
12. Rtskhiladze Gr., 1922. Missed types, Journal "Ilioni", N1 (In Georgian).
13. see Vartagava I., 1962. Memoires, II, Tbilisi, p. 356 (In Georgian).
14. see Babunashvili Z., Nozadze T., 1994. Patriots' afterlife, Didube Pan-

- theon, Tbilisi, p. 316 (In Georgian).
15. Sidamonidze U., 1970. Historiography of bourgeois-democratic movement and victory of socialist revolution in Georgia (1917-1921 yy.), Tbilisi, p. 195 (In Georgian).
 16. see Chikvashvili Sh., 2003. Liability for moral damage, Tbilisi (In Georgian); Doghonadze L., 2010. The compensation of moral damage (Dissertation), Tbilisi (In Georgian); BarabaZe N., 2012. Moral damage and the problem of compensating it, Tbilisi (In Georgian).
 17. see Rtskhiladze Gr., 1928. Compensating Moral damage, Journal“Soviet Law”, N4, p. 79-82 (In Georgian).
 18. Rtskhiladze Gr., 1928. Compensating Moral damage, Journal“Soviet Law”, N4, p. 80 (In Georgian).
 19. about moral damages see Belyatskin S., 1911. Compensating Moral (non-property) Damages, Compensation of moral (non-material) harm, weekly legal newspaper “Pravo”, Sunday 24 July, №29, p. 1620-1627 (In Russian); see Seitz A., 1927. Compensation for moral damage under Soviet law, magazine “The Weekly of Soviet Justice”, №47, p. 1465 (In Russian); see too Hütte F. / Helborn M., 2005. Schuldrecht Allgemeiner Teil, 3. Aufl., Grasberg bei Bremsen, S. 342 (In German).
 20. see Ninidze T., 1978. Moral Damage in Civil Law, Journal “Soviet Law”, №2, p. 45 (In Georgian).
 21. Osakwe CH., 2009. Anatomy of Moral Harm: Classical Interpretation of Moral Harm in Anglo-American Law,“Journal of foreignn legislation and comparative law”, №3, p. 26 (In Russian).
 22. Rtskhiladze Gr., 1928. Compensating Moral damage, Journal“Soviet Law”, N4, p. 80 (In Georgian).
 23. Chikvashvili Sh., 2003. Liability for moral damage, Tbilisi, p. 125-126 (In Georgian).
 24. Smirnov V. T., 1957. Civil responsibility of state enterprises for causing injury or death to employees, Moscow, p. 111 (In Russian).
 25. see Schnellhammer K., 2014. Schuldrecht nach Anspruchsgrundlagen, samt BGB Allgemeiner Teil, 9. Auflage, Heidelberg, München, Landsberg, Frechen, Hamburg, S. 706 (In German).
 26. Osakwe CH., 2009. Anatomy of Moral Harm: Classical Interpretation of Moral Harm in Anglo-American Law,“Journal of foreignn legislation and comparative law”, №3, p. 27-28, 34-35 (In Russian).
 27. See this opinion SCGD 20.01.2012 (Case No.as-1156-1176-2011) (In Georgian).
 28. SCGD 18.05. 2015 (Case No.as-1001-962-2014) (In Georgian).
 29. Rtskhiladze Gr., 1928. Compensating Moral damage, Journal“Soviet Law”, N4, p. 80-81 (In Georgian).
 30. Ibid (In Georgian).
 31. see Kereselidze D., 2009. The Most General Notions of Private Law, Tbilisi, p. 157-158 (in Georgian).
 32. see Ninidze T., 1978. Moral Damage in Civil Law, Journal “Soviet Law”, №2, p. 54 (In Georgian).
 33. Rtskhiladze Gr., 1928. Compensating Moral damage, Journal“Soviet Law”, N4, p. 81 (In Georgian).
 34. Palmer V. V., 2015. Dommages moraux: L'éveil français au 19eme siècle (Moral Damages: The Fecnh Awakening in the 19th Century), RIDC, 1-2015, Tulane University School of Law Public Law and Legal Theory Working Paper Series Working Paper, No. 15, 7 May, p. 1-3 (In France).
 35. BarabaZe N., 2012. Moral damage and the problem of compensating

- it, Tbilisi, p. 40 (In Georgian).
36. Honore A. M., 1971. Causation and Remoteness of Damage. In International Encyclopedia of Comparative Law, Vol. XI, Ch. 7. The Hague: M. Nijhoff, S. 108, cit.: BarabaZe N., 2012. Moral damage and the problem of compensating it, Tbilisi, p. 41 (In Georgian).
 37. Litvinoff S., 1977. Moral Damages, Journal“Louisiana Law Review”, Volume 38, Number 1, p. 2-4 (In English).
 38. Wurmnest W., 2003. Grundzüge eines europäischen Haftungsrechts: eine rechtsvergleichende Untersuchung des Gemeinschaftsrechts, Tübingen, S. 288, 300-301 (In German).
 39. BGB § 253 (In German).
 40. Müller S., 2007. Überkompensatorische Schmerzengeldbemessung? Ein Beitrag zu den Grundlagen des 253 Abs. 2 BGB n. F., Berliner Reihe – Versicherungswissenschaft in Berlin, Band 29, Berlin, S. 9 (In German).
 41. Kropholler J., 2014. German Civil Code, Study Comment, 13th revised ed., Chechelashvili Z., Darjania T. (Translators), Tbilisi, p. 135-136 (In Georgian).
 42. Doghonadze L., 2010. The compensation of moral damage (Dissertation), Tbilisi, p. 22 (In Georgian).
 43. see Zoidze B., 2005. Reception of European Private Law in Georgia, Tbilisi, p. 105 (In Georgian).
 44. this issue see Dzlierishvili Z., 2013. compensation of damage caused by source of great danger according to GCC article 999, Journal“Advocate”, №2, p. 32-33 (In Georgian).
 45. see Ciskadze M., 2008. The problem of compensating non-property damage for physical harm in Legislation of Georgia, Journal“Justice and Law”, №2, p. 17 (In Georgian).
 46. see Chikvasvhili Sh., 2003. Delict Obligations in Civil Code, jubilee collection“actual problems of state and law” dedicated to 80 years anniversary of TSU faculty of law (Ed. R. Shengelia), Tbilisi, p. 188 (In Georgian).
 47. see Rtskhiladze Gr., 1928. Compensating Moral damage, Journal“Soviet Law”, N4, p. 81-82 (In Georgian).
 48. see Chanturia L., 1997. Personal non-property rights in modern civil law, journal“Law”, №11-12, p. 30, 28 (In Georgian).
 49. about this see Doghonadze L., 2010. The compensation of moral damage (Dissertation), Tbilisi, p. 174-175, 181 (In Georgian).
 50. see Bichia M., 2012. Protection of Personal life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, 149-150 (In Georgian).
 51. see Rtskhiladze Gr., 1928. Compensating Moral damage, Journal“Soviet Law”, N4, p. 81-82 (In Georgian).
 52. about this see Dzlierishvili Z., 2013. Compensation of damage caused by source of great danger according to GCC article 999, Journal“Advocate”, №2, p. 32-33 (In Georgian).
 53. see Ninidze T., 1978. Moral Damage in Civil Law, Journal “Soviet Law”, №2, p. 55 (In Georgian).
 54. see Ninidze T., 2002. Defence of private rights after death, In Book:“Comment of Civil Code Georgia, B. I, Tbilisi, p. 74-76 (In Georgian).
 55. see Varkalo V., 1978. About Liability on Civil Law (compensation for damage – function, species, boundaries), translated from the Polish by W. Zaleski, Moscow, p. 38, 44-45 (In Russian).

56. Kropholler J., 2014. German Civil Code, Study Comment, 13th revised ed., Chechelashvili Z., Darjania T. (Translators), Tbilisi, p. 636 (In Georgian).
57. Chikvashvili Sh., 2003. Liability for moral damage, Tbilisi, p. 132-133, 161 (In Georgian).
58. see Bichia M., 2012. Protection of Personal life, in accordance with the Civil Law of Georgia, Tbilisi, 252-253 (In Georgian).
59. see Rtskhiladze Gr., 1928. Compensating Moral damage, Journal "Soviet Law", N4, p. 82 (In Georgian).
60. Chikvashvili Sh., 2003. Liability for moral damage, Tbilisi, p. 105, 97-98 (In Georgian).
61. about this see Dzlierishvili Z., 2013. Compensation of damage caused by source of great danger according to GCC article 999, Journal "Advocate", №2, p. 33-34 (In Georgian).

BIBLIOGRAPHY:

1. Bichia M., 2017. The Georgian Model of Compensation of Non-property Damage for Violating Personal Rights in Line with European Standards, "Journal of Law", №1, p. 5-25 (In English).
2. Mikadze G., 1984. A Dictionary of Pseudonyms, Tbilisi (In Georgian).
3. Staake M., 2014. Gesetzliche Schuldverhältnisse, Heidelberg (In German).

ეთიკური ბოჭვის ფარგლები შრომითი დავების მედიაციის პროცესში

ანა გურიელი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი,
ადვოკატი, მედიატორი.

საკვანძო სიტყვები: შრომა, სამართალი, დამსაქმებელი

1. შესავალი

მედიაციის ინსტიტუციონალიზაციის კვალდაკვალ, აკადემიური სფეროს წარმომადგენლები და პრაქტიკოსი იურისტები თანხმდებიან, რომ მედიაციასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის საკანონმდებლო დონეზე მოწესრიგება ინსტიტუტის სრულფასოვანი განვითარების წინაპირობაა. მედიაცია განისაზღვრება როგორც პროცესი, რა შემთხვევაშიც მესამე, ნეიტრალური პირი, ეხმარება მხარეებს, თითოეულისათვის მისაღები გადაწყვეტის მიღწევაში.¹ აღიარებული მიდგომით, ეს არის მხარეთა თავისუფალ ნებაზე დამყარებული პროცედურა, რომლის დროსაც დავის საბოლოოდ გადაწყვეტის უფლების არმქონე მედიატორი სისტემატურად უწყობს ხელს მხარეთა შორის კომუნიკაციას, რათა შესაძლებელი გახადოს მოდავეთა თვითპასუხისმგებლობაზე დამყარებული შეთანხმების მიღწევა.²

თანამედროვე შეფასებებით, აღიარებულია მედიაციით დავის გადაწყვეტის რიგი დადებითი შედეგები. მათ შორის, პროცესის ხარჯების შემცირება, დავის სწრაფი გადაწყვეტა, მხარეთა შორის ურთიერთობების შენარჩუნება და ისიც, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მედიაციის საშუალებით ვერ ხერხდება

1 Richler J., 2011. court-based mediation in canada, Judges journal, Issue 3, p. 14.

2 Alexander N., 2003. Global Trends in Mediation: Riding the Third Wave, Centrale für Mediation, Otto Schmidt Verlag DE, p. 7.

დავის გადაჭრა, მხარეები აღიარებენ ამ გზით კომუნიკაციის აღდგენის შესაძლებლობას.³

რაც შეეხება მედიაციას უშუალოდ შრომითი დავების შემთხვევაში, ეს პროცესი შეიძლება განიმარტოს, როგორც დამოუკიდებელი მესამე პირის მონაწილეობით ისეთი საკითხის გადაწყვეტა, რომლის გადაჭრაც დასაქმებლისა და დასაქმებულის მიერ ვერ მოხდებოდა დამოუკიდებლად, სპეციალური კვალიფიკაციის მქონე პირის მონაწილეობის გარეშე. ზოგადად, საქართველოს რეალობაში, მედიაცია განიხილება როგორც ახალი ინსტიტუტი და შესაბამისად, შრომითი დავების სავალდებულო სასამართლო მედიაციას დაქვემდებარების საკითხიც არ განხილულა; სრულყოფილად არც შრომითი დავების არასასამართლო მედიაციის გზით განხილვის სტანდარტებია დარეგულირებული; მეტიც, არსებული რეალობა არ ითვალისწინებს ეთიკის კოდექსის არსებობას, რაც პროცესის ზოგადი სტანდარტების დამკვიდრებასა და ეთიკური ბოჭვის ფარგლების განსაზღვრას შეუწყობდა ხელს (მათ შორის შრომითი დავების მედიაციის პროცესში). იურიდიული პროფესიის მუდმივად მზარდი მოთხოვნები კი დღის წესრიგში აყენებს ამ სფეროში არსებული რეგულაციების თანამედროვე განვითარების ტენდენციებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას.

შესაბამისად, ნაშრომის მიზანია, ქართულ სამართალში შრომითი დავების სავალდებულო სასამართლო მედიაციისათვის დაქვემდებარების საკითხისა და არასასამართლო მედიაციის საშუალებით შრომითი დავების განხილვის სპეციფიკის განსაზღვრა, მედიაციის პროცესში ეთიკური ბოჭვის ფარგლების დადგენის აუცილებლობის დასაბუთება. განისაზღვრება, თუ რა სპეციფიკით ვლინდება შრომითი დავების სასამართლო

მედიაციის პროცესში მედიაციის ფუნქციონირების პრინციპები. შემუშავდება კანონმდებლობის სრულყოფის რეკომენდაციები.

მიზანი მიიღწევა კვლევის ანალიტიკური, ისტორიული, შედარებითსამართლებრივი მეთოდების გამოყენებით. გაანალიზდება აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვნად მიჩნეული რეგულაციები.

2. მედიაციის, როგორც ინსტიტუტის განვითარება

მედიაციის პოპულარიზაცია მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული თითოეული კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკასა და სამართლის ადმინისტრირების მეთოდებზე.⁴ აღნიშნული ინსტიტუტი, ამ ტერმინის თანამედროვე გაგებით, განვითარდა მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში. თავდაპირველად ის განვითარდა აშშ-ში, ავსტრალიასა და ბრიტანეთში, ხოლო ამის შემდგომ გავრცელდა ევროპაში.⁵

საკანონმდებლო ბაზის შექმნის თვალსაზრისით, აღსანიშნავია შემდეგი: 1990 წელს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა, ერთ-ერთმა პირველმა მიიღო აქტი სამოქალაქო სამართლის რეფორმის შესახებ (Civil Justice Reform Act of 1990, U.S.) რეალურად, დღეის მდგომარეობითაც, აშშ არის კარგი მაგალითი სახელმწიფოსი, სადაც სრულად სამართლებრივი სისტემა ისახავს მიზნად დავების გადაწყვეტას სასამართლო პროცესამდე და სადაც მოსამართლემ შესაძლებელია შეაჩეროს სასამართლო პროცესი საქმის მედიატორისათვის გადაცემის მიზნით.⁶

აღსანიშნავია ავსტრალიის მაგალითიც – 1991 წელს ავტრალიის სახელმწიფომ

3 Munroe C., 1996. Court-Based Mediation in Family Law Disputes: An Effectiveness Rating and Recommendations for Change, Probate Law Journal, Issues 2-3, p. 113.

4 Koumpli V., 2015. Some considerations on the position of vulnerable parties in mediation, Collection of Papers, Faculty of Law, Nis 70 Collection Paper, p. 961.

5 Galiakbarova G., Saimova S., 2016. Mediations of labour disputes in Kazakhstan in comparative context, Russian law journal, volume IV, issue 2, p. 98.

6 Galiakbarova G., Saimova S., 2016. Russian law journal, Mediations of labour disputes in Kazakhstan in comparative context, volume IV, issue 2, p. 100.

მიიღო აქტი სასამართლოების (მედიაცია და არბიტრაჟი) შესახებ (Courts (Mediation and Arbitration) Act, 1991 (Australia)), რომლის თანახმად, საოჯახო და ფედერალურ სასამართლოებს მიენიჭათ უფლებამოსილება, დავის გადაწყვეტის პროცესში ჩაერთოთ მედიატორი (შუამავალი) ან არბიტრი. თავად ავსტრალიის კანონი მედიაციის შესახებ (Mediation Act, 1997 (Australia)) კი ძალაში შევიდა 1997 წელს.

აღსანიშნავია ყოფილი საბჭოთა კავშირის წევრი ქვეყნების გამოცდილებაც: ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველი სახელმწიფო, რომელმაც შემოიღო მედიაციის ინსტიტუტი, იყო მოლდოვა. რუსეთმა აღნიშნული განახორციელა 2010 წელს, ხოლო მესამე სახელმწიფო, რომელმაც მიიღო მითითებული სიახლე, იყო ყაზახეთი.⁷ რაც შეეხება დიდ ბრიტანეთს, აქ 1996 წელს მიიღეს კანონი არბიტრაჟის შესახებ, 1998 წელს კი, სამოქალაქო საპროცესო წესები (The Civil Procedure Rules, 1998 (UK)).

საერთაშორისო დონეზე თანამედროვე მედიაციის განვითარებაში შეტანილი წვლილის თვალსაზრისით, უნდა გამოიყოს ევროპის პარლამენტის 2008 წლის დირექტივა სამოქალაქო და კომერციულ საქმეებთან დაკავშირებით მედიაციის ზოგადი ასპექტების შესახებ (Directive 2008/52/EC of the European Parliament and of the Council of 21 May 2008 on Certain Aspects of Mediation in Civil and Commercial Matters, Official Journal of the European Union, 24.5.2008, L136/6). ევროპის კავშირის წევრ ქვეყნებს სწორედ აღნიშნული დირექტივის საფუძველზე დაევალებათ, გაეტარებინათ შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი საკანონმდებლო რეფორმები.⁸

თუმცა მედიაციის ინსტიტუტის განვი-

თარება არ ნიშნავს მის უნივერსალურ ხასიათს. არსებული მრავალგვარი დაგეგმვებიდან, რაც საზოგადოებაში ვლინდება, ყველაარშეიძლება გადაიჭრას კონსენსუსის, დიალოგისა და მოლაპარაკების გზით.⁹ შესაბამისად, დგინდება, რომ გარდა სახელმწიფოს პოლიტიკური ნებისა და წამახალისებელი კანონმდებლობის არსებობისა, მედიაციის წარმატებას განსაზღვრავს იმ დავების სპეციფიკა, რომლის გადაწყვეტის მიზნითაც ის გამოიყენება.

3. შრომითი დავების სავალდებულო სასამართლო მედიაციის გზით გადაწყვეტის აუცილებლობა

ზოგადად, შრომითსამართლებრივ ურთიერთობებში წარმოშობილი დავების მედიაციის საშუალებით მოგვარება აღიარებული და ეფექტიანია, ვინაიდან ამ დროს დავის გადაწყვეტა ხდება სასამართლოს ჩაურევლად და შედეგი მთლიანად დამოკიდებულია მხარეთა მოლაპარაკებაზე.¹⁰ ამ მიდგომით უმჯობესდება დასაქმებულთა განწყობა, ხდება მხარეების ცნობიერების ამაღლება იმ თვალსაზრისითაც, რომ არსებობს პროცედურა, რომელიც სასამართლოს გვერდის ავლით აგვარებს კონფლიქტებს. აგრეთვე მცირდება მომავალი კონფლიქტების განვითარების რისკები და უმჯობესდება ახალდასაქმებულთა მოზიდვის ხარისხი. შრომითი დავები ხომ, თავის მხრივ, როგორც წესი, ურთიერთობებში პრობლემების შედეგია და შესაბამისად, შესაძლებლად უნდა ჩაითვალოს მათი არაფორმალურ გარემოში მოგვარება.¹¹

აღსანიშნავია ისიც, რომ კომპანიაში, საწარმოში წარმოშობილი დავების

7 Galiakbarova G., Saimova S., 2016. Russian law journal, Mediations of labour disputes in Kazakhstan in comparative context, volume IV, issue 2, p.99.

8 Herbert W., De Palo G., Baker A., Anthimos A., Tereshchenko N., Judin M., 2011. International Commercial Mediation, The International Lawyer – a Quarterly Publication of the ABA/ Section of International Law, Published in cooperation with SMU Dedman School of Law. VOL. 5, NO. 1, p. 112.

9 Galiakbarova G., Saimova S., 2016. Russian law journal, Mediations of labour disputes in Kazakhstan in comparative context, volume IV, issue 2, p. 97.

10 ცერცვაძე გ., 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ. 100.

11 Bentley D., 2008. workplace mediation, In-House Perspective 4 In-House Persp., Issue 4 – October, p. 20.

სასამართლო წესით მოგვარება დაკავშირებულია განუსაზღვრელ დროსთან და ფულად დანაკარგთან. აღნიშნულმა თავისი გავლენა შეიძლება იქონიოს ასევე კომპანიის რეპუტაციაზე, მაგრამ მედიაციის დახმარებით, რომლის ერთ-ერთ მახასიათებელსაც კონფიდენციალურობა წარმოადგენს, კომპანიას საშუალება ეძლევა, უმოკლეს ვადებში მიაღწიოს კომპრომისს.

ისეთი საკითხის განხილვისას, როგორცაა უშუალოდ შრომითი დავების მედიაცია, აღსანიშნავია სხვა სახელმწიფოთა გამოცდილება. ჩრდილოეთ ამერიკაში, შრომითი ურთიერთობებისას წარმოშობილი სადაო საკითხების რეგულირებისას, შრომითი მედიაციის გამოყენება მეტად გავრცელებული ფორმაა და თამაშობს გაცილებით დიდ როლს, ვიდრე კონტინენტური ევროპის რეალობაში. კანადაში მედიაციის ხშირ გამოყენებას ადგილი აქვს კოლექტიურ ხელშეკრულებებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში შრომითი მედიაციის ტრადიცია, ფაქტობრივად, სამართლებრივი კულტურის ნაწილია, მით უფრო 1898 წლიდან,¹² ე.ი. იმ დროიდან, როდესაც „ერდმანის კანონი“-ს საფუძველზე შემუშავდა საკითხის მოწესრიგების სისტემა იმ დავებისათვის, რომლებიც წარმოიშვა რკინიგზით გადამზიდავებსა და თანამშრომლებს შორის და რომელიც ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორცაა – ხელფასი, სამუშაო დრო და სამუშაო პირობები. კანონი მხარეებს თავდაპირველად ავალდებულებდა მედიაციის ან ფედერალური საარბიტრაჟო კომისიისათვის მიემართათ, ხოლო მერე ეტაპზე, საარბიტრაჟო საბჭომდე მისვლისას, მათგან ითხოვდა საარბიტრაჟო პროცედურების გავლას. განვითარების სწრაფი ტემპის გათვალისწინებით, მიმდინარე დროისათვის, ამერიკის

შეერთებული შტატების ბიზნეს სამყაროში, დავის გადაწყვეტის ალტერნატიულ საშუალებებს შორის, მედიაცია დიდი უპირატესობით სარგებლობს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ *Gilmer v. Interstate/Johnson Lane Corporation* საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებით 1991 წელს ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ფართო გზა გაუხსნა კონკრეტულად შრომით სამართალში ინდივიდუალური დავების მოწესრიგებისას მედიაციის ინტენსიურ გამოყენებას.¹³

შრომითი დავების მედიაციის საშუალებით გადაწყვეტის თვალსაზრისით აღსანიშნავია სლოვაკეთის მაგალითიც – აქ მოქმედებს „სასამართლო საქმეებზე დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალების შესახებ“ აქტი, რომელიც მიიღეს 2009 წლის ნოემბერში და რომელიც შეიცავს დებულებებს, რომლითაც სასამართლო მხარეებს სთავაზობს გამოიყენონ მედიაცია სასამართლო საქმის წარმოებისას. ხსენებული აქტი ავალდებულებს ყველა პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს, რომ მხარეებს სამოქალაქო, კომერციული, საოჯახო და შრომითი დავების დროს დავის გადასაწყვეტად მედიაციის გამოყენება შესთავაზონ.¹⁴

აუცილებელია, განისაზღვროს მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნები შრომითი დავების მედიაციის პროცესში. შრომითი დავების შემთხვევაში, მედიატორის როლი შეიძლება შეითავსოს როგორც სპეციალურად დაქირავებულმა პროფესიონალმა, ასევე შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე მენეჯერმა ან კადრებთან ურთიერთობის სპეციალისტმა.¹⁵ სხვა თვალ-

12 Galiakbarova G., Saimova S., 2016. Russian law journal, Mediations of labour disputes in Kazakhstan in comparative context, Russian law journal, volume IV, issue 2, p. 101.

13 ცერცვაძე გ., 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ. 98.

14 ცერცვაძე გ., 2013. მედიაციის სამართლებრივი რეგულირების პერსპექტივები საქართველოში, დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ეროვნული ცენტრი, თბილისი, გვ. 53.

15 Butler V., 2004. Mediation: Essentials and Expectations, Dorrance Publishing Co., Inc., გვ. 83.

საზრისით, შრომითი მედიაციის პროცესის მედიატორისადმი წარდგენილი მოთხოვნები იგივეა, რაც სხვა ნებისმიერი ტიპის დავის განმხილველი მედიატორისადმი.

აქვე აღსანიშნავია, რომ აშშ-სა და გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება შრომითი დავების ალტერნატიული მეთოდებით გადაწყვეტის მიმართულებით იყო ფაქტობრივად იდენტური: აშშ-ს უწყებას US Federal Mediation and Conciliation Service გაერთიანებულ სამეფოში გააჩნია ანალოგი: Advisoty, Conciliation and Arbitration Service (ACAS), რომელიც დაეფუძნა 1975 წელს მიღებულ აქტს დასაქმების უზრუნველყოფის თაობაზე (ENSURING EMPLOYMENT ACT). ეს არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური და კონდექტიური შრომითი დავების გადაწყვეტას დავის ალტერნატიული საშუალებების გამოყენების გზით, მათ შორის მედიაციით. აქ მოქმედებს ზოგადი წესი, რომლის შესაბამისად, ნებისმიერი შრომითი ხასიათის დავა ინგლისში უელსსა და შოტლანდიაში, ავტომატურად იგზავნება ACAS-ში. დავის თაობაზე ინფორმაციის მიღებისთანავე ინიშნება მედიატორი, რომელიც მხარეებს სთავაზობს მედიაციის პროცესის დაწყებას. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამგვარად დავა არ გადაიჭრება, მისი განხილვა გაგრძელდება სასამართლოში¹⁶. ამასთან, ითვლება რომ აღნიშნული სერვისით სარგებლობა მეტად შედეგიანია კოლექტიური დავებისას, ვიდრე ინდივიდუალური დავების შემთხვევაში.¹⁷

უნდა ითქვას ისიც, რომ სხვადასხვა სამართლებრივი კულტურის სახელმწიფოებში, ფართოდაა გავრცელებული შრომითი დავების მედიაციის საშუალებით გადაწყვეტის შიდა მექანიზმი საჯარო სექტორში. მაგალითად, ასეთი ტიპის სე-

რვისი შექმნილია ინგლისში – ჯანმრთელობის სამინისტროში (1998) და სოციალური გადასახადების სააგენტოში (1998-დან)¹⁸.

განხილული საერთაშორისო პრაქტიკა, ისევე როგორც სახელმწიფოში არსებული რეალობის შეფასება, ცხადყოფს, რომ შრომითი დავების მედიაციის საშუალებით გადაწყვეტა აპრობირებულია და დავათა სწორედ იმ კატეგორიას განეკუთვნება, სადაც მედიაციის საშუალებით განხილვის შემთხვევაში პროცესის წარმატების ხარისხი მატულობს. შესაბამისად დგინდება, რომ ვინაიდან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ამ დროისათვის შრომითი დავები არ ექვემდებარება სავალდებულო სასამართლო მედიაციას, ამ თვალსაზრისით იკვეთება კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების აუცილებლობა.

4. შრომითი დავების მედიაცია სასამართლო ფარგლებს მიღმა

შრომითი დავების სავალდებულო სასამართლო მედიაციის საშუალებით გადაწყვეტის პარალელურად, სასურველია, საზოგადოებაში მოხდეს შრომითი დავების არასასამართლო მედიაციის გზით გადაწყვეტის პოპულარიზაცია. აღნიშნული უნდა განხორციელდეს იმ სახელმწიფოების პრაქტიკის გათვალისწინებით, სადაც ეს პროცესი უკვე წარმატებით განხორციელდა. მაგალითისთვის, მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს ფინეთის პრაქტიკის განხილვა, სადაც ცვლილებები წარმატებით დაინერგა და განხორციელდა.

კერძოდ, 2011 წელს, ფინეთის ეკონომიკისა და შრომის სამინისტრომ მიიღო აქტი „მედიაციის შესახებ შრომითი დავების განხილვის პროცესში“ (Act on Mediation in Labour Disputes, Ministry of Employment and

16 Galiakbarova G., Saimova S., 2016. Mediations of labour disputes in Kazakhstan in comparative context, Russian law journal, volume IV, issue 2, p.101.

17 Galiakbarova G., Saimova S., 2016. Mediations of labour disputes in Kazakhstan in comparative context, Russian law journal, volume IV, issue 2, p.101-102.

18 Galiakbarova G., Saimova S., 2016. Mediations of labour disputes in Kazakhstan in comparative context, Russian law journal, volume IV, issue 2, p.102.

the Economy, Finland June, 2011. <http://www.finlex.fi/fi/laki/kaannokset/1962/en19620420.pdf>). მითითებული აქტის პირველი მუხლის შესაბამისად, შრომითი დავების მედიაციის საშუალებით გადაჭრის მიზნით, შემოიღეს ე.წ. ეროვნული მედიატორის პოზიცია. დადგინდა, რომ გარდა ერთი მთავარი შტატისა (ეროვნული მედიატორი), პარალელურად, ამავე მიმართულებით იმუშავებდა რამდენიმე მედიატორი ნახევარ განაკვეთზე. მედიატორისადმი დადგენილი მოთხოვნები და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა რეგულაციური საკითხები განისაზღვრა მთავრობის დეკრეტით. აქტის შესაბამისად დადგინდა ისიც, რომ მედიატორის ოფისი იფუნქციონირებს ეკონომიკისა და შრომის სამინისტროს დაქვემდებარებაში, ხოლო ეროვნულ მედიატორს ამავედროულად მიენიჭებოდა სამსახურის ხელმძღვანელის სტატუსი; განისაზღვრა ეროვნული მედიატორის მიერ განსახილველი საგარეუდო საკითხებიც და მისი უფლებამოსილების ფარგლები.

აქტის შესაბამისად, მხარეები ვალდებული არიან ჩაერთონ ამ პროცესში ან ჰყავდეთ წარმომადგენლები; ასევე, წარმოადგინონ ინფორმაცია, რასაც აუცილებლად წარსადგენად მიიჩნევენ მედიატორი. (თუმცა თითოეულ მხარეს შეუძლია მოითხოვოს, რომ მის მიერ წარდგენილი ინფორმაცია არ გახდეს ხელმისაწვდომი მეორე მხარისათვის)

ხაზი უნდა გაესვას განსახილველ აქტში გათვალისწინებულ რეგულაციას იმის თაობაზე, რომ იმ შემთხვევაში, თუ მხარეები მიმართავენ სხვა ალტერნატიულ ორგანოს შრომითი დავების მედიაციის განხორციელების მიზნით, აღნიშნულის თაობაზე ცნობა სავალდებულოდ უნდა მიეწოდოს ეროვნული მედიატორის ოფისს. ეროვნული მედიატორის ოფისს, სხვა ორგანოს მიერ დავის განხილვის შემთხვევაში არ აქვს უფლებამოსილება, გადადგას მკაფიო ნაბიჯები საქმისწარმოებაში ჩართვის მიზნით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ცალსახად თვალსაჩინო

არ იქნება შერჩეული ალტერნატიული ორგანოს მიერ დავების მოგვარების შეუძლებლობა. (მუხლი 15).

ამავდროულად, მითითებული აქტი მედიატორს ანიჭებს საჯარო უწყებებიდან დახმარების მოთხოვნის უფლებას, იმ ფარგლებში, რაც მას საკუთარი უფლებების განხორციელებისათვის ესაჭიროება.

12 Lauterwein C., 2016. The Limits of Criminal Law: A comparative Analyses of Approaches to Legal Theorizing, University of Munich, Germany, p. 13.

13 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე „საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი“, პარა. 82.

14 თოდუა ნ./გოგშელიძე რ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 9.

15 Lauterwein C., დასახელებული ნაშრომი, pp. 13-14.

16 სსკ-ის 273-ე მუხლი – პირადი მოხმარებისათვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა ანდა ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარება.

17 თოდუა ნ./გოგშელიძე რ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 117.

18 იქვე, 9.

19 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება,

სსკ-ის მე-8 მუხლით განმტკიცებულია მიზეზობრივი კავშირის პირობათა თეორია,²⁰ რომლის მიხედვით მიზეზობრივია შედეგის გამომწვევი ყველა ის პირობა, რომლის გამორიცხვაც შედეგის კონკრეტული სახით გამორიცხვას განაპირობებს.²¹ საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ კონკრეტულ მომენტში ნარკოტიკების მოხმარებისთვის პირს ობიექტურად უნდა შეერაცხოს ის შესაძლო სამომავლო შედეგი, რომლის დადგომისათვის დამატებით, დამოუკიდებელი ქმედების შემადგენლობის განხორციელება არის საჭირო. შესაბამისად, ნარკოტიკების მოხმარებასა და საბოლოოდ დამდგარ შედეგს (სხვისი სამართლებრივი სიკეთის დაზიანება) შორის არსებულ პოტენციურ მიზეზობრიობის ჯაჭვში ერთგვარად დამოუკიდებელი ქმედება, რომელიც არის განსახილველი შედეგის უშუალოდ გამომწვევი. მიზეზობრივი კავშირის განწყვეტის შემთხვევაში კი შედეგის ობიექტურად შეერაცხვა შეუძლებელია. მხედველობაშია ასევე მისაღები განზრახვის თანადამთხვევის პრინციპი,²² რომელიც ადგენს, რომ განზრახვი ქმედების დასჯადობის აუცილებელი მომენტი პირს განზრახვა ქმედების ჩადენის დროს ჰქონდეს.²³ შესაბამისად, პრობლემატურია იმის დასაბუთება, რომ პირი ნარკოტიკის მოხმარების დროს აცნობიერებს მომავალში მის მიერ დანაშაულის ჩადენას. ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევაში საქმე გვაქვს შეკვეცილ დანაშაულთან,²⁴ რომელიც წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების ნაირსახეობას²⁵ და დასჯადია მომზადების ეტაპზევე.

იცნობს ასეთი სახის დელიქტებს, მათ მიეკუთვნება, მაგალითად: აგრესიული ომის დაგეგმვა ან მომზადება (სსკ-ის 404.1 მუხლი), ბანდიტური თავდასხმის მომზადება (სსკ-ის 224.1 მუხლი); ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა, შექმნა ან ხელმძღვანელობა (სსკ-ის 327.1.3 მუხლი); ტერორისტული საქმიანობის ან/და ტერორისტული ორგანიზაციის საჯაროდ მხარდაჭერა ან ტერორიზმისაკენ საჯაროდ მოწოდება (სსკ-ის 3301-ე მუხლი), და ა.შ. ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ კანონმდებელი მომზადების ეტაპზევე დამთავრებულ დანაშაულად აცხადებს ქმედებებს, რომლებიც განსაკუთრებული საშიშროების მატარებელია და ხელყოფით ემუქრება ისეთ სამართლებრივ სიკეთეებს, როგორცაა სახელმწიფოს უსაფრთხოება და უშიშროება, მოსახლეობის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ინტერესები. სწორედ ასეთი მაღალი საფრთხის შემცველობის გამო ითვლება ისინი მომზადების ეტაპზევე დამთავრებულ დანაშაულად. ამისგან განსხვავებით, ის დანაშაულები რომელთა შესაძლო ჩადენაც უკავშირდება ნარკოტიკების მოხმარებას, (ძირითადად საკუთრების წინააღმდეგ ჩადენილი ან სატრანსპორტო დანაშაულები) არ არის ასეთი საშიშროების მატარებელი, შესაბამისად, დასჯადობის სიმძიმის ცენტრის შედეგის უშუალოდ გამომწვევი ქმედებიდან მის მოსამზადებელ ქმედებაზე გადმოტანა და პირის ფაქტობრივად ერთი და იმავე შედეგის გამომწვევისათვის ორჯერ დასჯა გაუმართლებელია.

აღსანიშნავია, რომ საფრთხის რეალურად განხორციელების შემთხვევაში, არაფერი უშლის ხელს ნარკოტიკის მომხმარებლის დასჯას კონკრეტული დანაშაულისათვის და გაუგებარია დამატებით მისი ნარკოტიკებით მოხმარებისთვის, როგორც ამ კონკრეტული დანაშაულისთვის პირობის მომზადების, დასჯის საჭიროება. ამგვარად, ნარკოტიკების მოხმარებას არ მოსდევს სხვა პირის ინდივიდუალური სამართლებრივი

პარა. 74.
 20 ტურავა მ., ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გვ. 90.
 21 ვესელსი ი./ბოილკე ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 84.
 22 ე.წ. სიმულტანობის თეორია, იხ. ვესელსი ი./ბოილკე ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 120.
 23 ტურავა მ., ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გვ. 134.
 24 შეკვეცილი დელიქტების შესახებ იხილეთ: ვესელსი ი./ბოილკე ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 16-17; ცქიტიშვილი თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 74-75.
 25 ცქიტიშვილი თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 75-76.

სიკეთის ხელყოფა, შესაბამისად, ამ საფუძვლით ქმედების მაღალი სოციალური საშიშროების დასაბუთება შეუძლებელია.

2.2 საყოველთაო სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა

ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზების მომხრეებმა შესაძლოა იდავონ, რომ აკრძალვა უზრუნველყოფს ნარკოტიკების მიწოდების შეზღუდვას, შესაბამისად, ისეთი საყოველთაო სამართლებრივი სიკეთეების უზრუნველყოფას, როგორცაა, მაგალითად, საზოგადოებრივი უშიშროება და წესრიგი, საყოველთაო მშვიდობა²⁶ და ა.შ.²⁷ აქ უნდა გაირკვეს 1. იწვევს თუ არა ნარკოტიკების მოხმარება სხვა დანაშაულების ზრდას და ამ გზით საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფას; და 2. ეს ქმედება ხომ არ შეიცავს მისი გავრცელების, შესაბამისად, სხვების ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების საფრთხეს.

ნარკოტიკების გავრცელებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, დღესდღეობით ექვეშაა დაყენებული სსპასუხისმგებლობის დაწესების გზით, როგორც ნარკოტიკების მოთხოვნის, ისე მიწოდების შემცირების ეფექტურობა, რამაც მრავალი ქვეყანა დაარწმუნა რეპრესიული ნარკოპოლიტიკის ლიბერალური მიმართულებით შეცვლის აუცილებლობაში. სისხლისსამართლებრივი თვალსაზრისით კი, როქსინის გასაზიარებელი პოზიციის მიხედვით, ნარკოტიკებისგან თავისუფალი საზოგადოება არ შეიძლება განვიხილოთ სამართლებრივ სიკეთედ ქმედების კრიმინალიზაციის გადაწყვეტისას, რადგან ეს არის სხვა არაფერი თუ არა დანაშაულის მიზნის აღწერა.²⁸ როგორც საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა „ამა თუ იმ ნივთიერების/საშუალების თავისუფალი ბრუნვიდან ამოღების ამოცანა თავისთავად ვერ ჩაითვლება ლეგიტიმურ მიზნად. ...

[არამედ იგი] ადამიანის ჯანმრთელობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფას უნდა უკავშირდებოდეს.“²⁹ შესაბამისად, თავისთავად ნარკოტიკების გავრცელება, თუ ის არ გამოიხატება კონკრეტული სისხლის სამართლებრივად დაცული ინტერესის დაზიანებაში, ვერ მოგვცემს ქმედების შემადგენლობას. თემურ ცქიტვილი აღნიშნავს, რომ ზეინდივიდუალური სამართლებრივი სიკეთისათვის დამახასიათებელია შუალობითი კავშირი ცალკეულ პირთა სიკეთესთან. უნივერსალური სამართლებრივი სიკეთე საჭიროა საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის და, აქედან გამომდინარე, ისინი ემსახურება ინდივიდებსაც.³⁰

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ თავად მოხმარების აქტის შინაარსობრივი მნიშვნელობიდან გამომდინარე იგი არ გულისხმობს გავრცელების ხელშეწყობას, არამედ მომხმარებელი სხვადასხვა საშუალების გამოყენებით იძენს ნარკოტიკულ ნივთიერებას და შემდეგ თავად მოიხმარს მას. ძნელად წარმოსადგენია დამოკიდებული პირის მიერ, რომლისთვისაც ისედაც სირთულეს წარმოადგენს მისი მოპოვება, ამ საშუალების სხვა პირისათვის გაყოფა მისი გავრცელების მიზნით. ისეთ შემთხვევებში კი, როცა პირის მიერ ნარკოტიკების მოხმარება ხდება წამახალისებელი ფაქტორი სხვა პირისათვის, ან როცა მომხმარებელი მოუწოდებს სხვა პირს მოხმარებისკენ, ასეთი ქმედება მაინც არ უნდა ჩაითვალოს პასუხისმგებლობის დამაფუძნებლად, ვინაიდან თუ მეორე პირი მართლაც მოიხმარს ნარკოტიკს, გვექნება პირადი პასუხისმგებლობით დამდგარი ზიანი და გამოირიცხება ამ შედეგის წამქეზებლისთვის ობიექტურად შერაცხვის შესაძლებლობა. მეგობრების წრეში ნარკოტიკების მიღების დაწყება არის მხოლოდ დაწყების ვითარება და

26 ტურავა მ., ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გვ. 16.

27 ვესელსი ი./ბოილკე ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 3.

28 Lauterwein C., დასახელებული ნაშრომი, p. 11.

29 საკონსტიტუციო სასამართლო გადაწყვეტილება, პარა. 73.

30 ცქიტვილი თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 168.

არა მოხმარების დაწყების მიზეზი. ახალი სამეცნიერო კვლევები აჩვენებს, რომ ნარკოტიკებზე დამოკიდებულების ჩამოყალიბება განპირობებულია მრავალი მიზეზით, მაგალითად: სოციალური და ინდივიდუალური სიძნელები; ტემპერამენტი და ხასიათის პერსონალური ნიშნები; მძიმე ბავშვობა; ცუდი განათლება; ოჯახთან არასაკმარისი კავშირების ქონა, სოციალური იზოლაცია და ფსიქოლოგიური აშლილობები.³¹ ნივთიერებებზე დამოკიდებულების რისკზე გავლენას ახდენს როგორც გარემო, ისე გენეტიკა.³² ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ჩაითვალოს, რომ ნარკოტიკების გავრცელებაში ნარკოტიკების უბრალო მომხმარებლების წვლილი მინიმალურია, რაც ნათელია, რომ არ არის საკმარისი ქმედების განსაკუთრებული სოციალური საშიშროების დასასაბუთებლად.

რაც შეეხება საკითხს, იწვევს თუ არა ნარკოტიკების მოხმარება სხვა დანაშაულების ზრდას და ამ გზით საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფას, საკონსტიტუციო სასამართლოს განსახილველ გადაწყვეტილებაში ვკითხულობთ, რომ „ვერც მოპასუხემ და ვერც მოწმებმა ვერ დაადასტურეს მარიხუანის მოხმარებასა და ამ (მით უფრო, სხვა) დანაშაულის ჩადენას/ზრდას შორის კავშირის გარდაუვალი არსებობა. ვერც... სტატისტიკა ან სხვა ზუსტი კვლევები მოიშველიეს. ვერ აჩვენეს, რომ ასეთი კავშირი უფრო ხშირი და გამოკვეთილია... ვიდრე თუნდაც ალკოჰოლით თრობის პირობებში.“³³ მართლაც, გაუგებარია რატომ არის ნარკოტიკული თრობის ქვეშ ავტომობილის მართვა ალკოჰოლური ან სხვა სახის თრობაზე მეტად საშიში. თუ ნარკოტიკების მოხმარებას შესაძლოა, თუმცა სადავოა, რომ ზოგადად უფრო

მეტი ზიანი მოჰქონდეს ადამიანის ჯანმრთელობისთვის, სატრანსპორტო დანაშაულის ჩადენის მიზეზისთვის არ აქვს მნიშვნელობა პირი ნარკოტიკული თუ ალკოჰოლი თრობის მდგომარეობაში იმყოფება. ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოებრივი ჯანმრთელობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში ისევ კონკრეტული ინდივიდების ჯანმრთელობის ხელყოფაზე დაიყვანება, შესაბამისად, ინდივიდუალურ სამართლებრივ სიკეთებთან დაკავშირებული ზემოთ განვითარებული მსჯელობა აქაც რელევანტურია. განსხვავებით სხვა საფრთხის შემქმნელი დელიქტებისა (განსაცდელში მიტოვება, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება), რომელთა შემთხვევაშიც საფრთხის შემქმნელი ქმედების განხორციელების შემდეგ შესაძლო უარყოფითი შედეგი შესაძლებელია იმწუთშივე, რაიმე დამატებითი პირობების არსებობის გარეშე რეალიზდეს, ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევაში სხვა პირების ჯანმრთელობის დაზიანებისთვის საჭიროა პირის მიერ დამატებითი, დამოუკიდებელი ქმედების შემადგენლობის განხორციელება, რომლის განხორციელების გარდაუვალობის დადასტურება შეუძლებელია.

თემურ ცქიტიშვილი აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების შემდეგ მაგალითებს ასახელებს: საცხოვრებელი სახლისთვის ცეცხლის წაკიდება; სიმთვრალეში მანქანით მოძრაობა; სექსუალური დელიქტები, რომლებიც მიმართულია მცირეწლოვანის ხელშეუხებელი სექსუალური განვითარების წინააღმდეგ; ჭკუფური მოქმედების ორგანიზება, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, იარაღის გამოყენება; გენოციდი.³⁴ აღსანიშნავია, რომ ყველა ზემოაღნიშნულ საფრთხის დელიქტის შემთხვევაში შექმნილ საფრთხესა და შედეგს შორის გვაქვს უფრო ახლო დროითი ინტერვალი და უფრო ნათელი მიზეზობრიობის ჯაჭვი,

31 UNODC, 2009. From Coercion to Cohesion, Treating Drug Dependence through Health Care, not Punishment, Discussion Paper based on a Scientific Workshop, Vienna, p. 2.
 32 UNODC, WHO, 2015. Scientific Consultation on Prevention of Drug Use and Treatment of Drug Use Disorders, Vienna International Centre, p. 10.
 33 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პარა. 87.

34 ცქიტიშვილი თ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 206.

ვიდრე ეს არის ნარკოტიკების მოხმარების შემთხვევაში, რაც კიდევ ერთხელ ექვემდებარება ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზაციის ლეგიტიმაციას აბსტრაქტული საფრთხის დელიქტად მიჩნევის გამო.

ამგვარად, უნდა დავასკვნათ რომ ნარკოტიკების მოხმარება არ იწვევს საყოველთაო სამართლებრივ სიკეთეთა იმ ხარისხის დარღვევას, რომ მისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაფუძნება ლეგიტიმურად ჩაითვალოს.

2.3 მორალი და ზნეობა, როგორც საყოველთაო სამართლებრივი სიკეთე

ზოგიერთი მეცნიერის მოსაზრებით, ნარკოტიკების მოხმარება შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს საზოგადოებრივი მორალისა და ზნეობის კატეგორიებს და ამის გამო იწვევდეს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. მორალისა და ზნეობის საყოველთაო სამართლებრივ სიკეთედ აღიარებასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ სსკ არ არის სრულიად თავისუფალი საზოგადოებაში არსებული ზნეობრივი და მორალური შეხედულებებისაგან. ამის მაგალითებია ისეთი დანაშაულების არსებობა, როგორცაა, მაგალითად, პროსტიტუციაში ჩაბმა (სსკ 253-ე მუხლი), პროსტიტუციის ბინის მოწყობა ან შენახვა (სსკ 254-ე მუხლი), პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადება ან გასაღება (სსკ 255-ე მუხლი), და სხვა.³⁵ ამის მიუხედავად, ამორალური და უზნეო ქმედებების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯა არ არის მისაღები კანონ-შემოქმედებითი პრაქტიკა, გამომდინარე სისხლის სამართლის *ultima ratio* ხასიათიდან. მეცნიერები თანხმდებიან, რომ სისხლის სამართალი მაქსიმალურად თავისუფალი უნდა იყოს მორალური

35 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 9.

დანაწესებისაგან, რაც გამოწვეულია მორალისა და ზნეობის რეგულაციური სისტემების არამდგრადობითა და არაერთგვაროვნობით სხვადასხვა დროსა და სოციალურ სეგმენტში. მაგალითად, ქეთევან მჭედლიშვილი-ჰედრიხი მიიჩნევს, რომ „სამართლებრივ სახელმწიფოში მორალისა და სისხლის სამართლის აბსოლუტური თანხვედრა დაუშვებელია“ და რომ „სისხლის სამართალი განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამართლებრივ სიკეთეს იცავს და არა მორალსა და ზნეობას (იეშეკი, ებერთი)“.³⁶ მერაბ ტურავა აღნიშნავს, რომ „არ შეიძლება ქმედების კრიმინალიზაცია მხოლოდ მისი ამორალური ხასიათის გამო“, სისხლის სამართლის კანონი მაქსიმალურად უნდა გათავისუფლდეს ასეთი ზნეობის წინააღმდეგ მიმართული შემადგენლობებისგან.³⁷ გერმანულ სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაშიც ამგვარი პოზიციაა გაბატონებული.³⁸ გარდა ამისა, ნარკოტიკების მოხმარების სოციალური მნიშვნელობა არ გამოიხატება მორალური ან ზნეობრივი წესების დარღვევაში. წინამდებარე ნაშრომი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ ნარკოტიკზე დამოკიდებულება არის ფსიქოლოგიური დაავადება და განეკუთვნება სამედიცინო სფეროს პრობლემას, და არა სისხლის სამართლის ან მორალის კატეგორიების.

2.4 სიმბოლური დანაშაული

გასარკვევია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დასჯადობას ხომ არ აქვს სიმბოლური სამართლის მნიშვნელობა. სიმბოლური სისხლის სამართლის უმთავრესი მიზანი არ არის სამართლებრივი სიკეთის დაცვა, არამედ მას აქვს ალტერნატიული ფუნქცია – კანონმდებლის შესაძლებლობა ჰქონდეს

36 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 8,10.

37 ტურავა მ., ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, გვ. 17.

38 „დაუშვებელია სისხლისსამართლებრივი სასჯელი ემუქრებოდეს ყველას, ვინც სექსუალურ სფეროში ამორალურ და ჩვეულებისთვის გასაკიცხ ქმედებას ახორციელებს“. ვესელსი ი./ბოილკე ვ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 4.

რეაქცია მიმდინარე დისკუსიის აქტუალურ საკითხებზე. სიმბოლური სისხლის სამართლის ამოცანაა წარმოაჩინოს სახელმწიფოს უნარი დაუპირისპირდეს ნებისმიერ სოციალურ გადაცდომას, იმის მიუხედავად აზიანებს იგი სამართლებრივად დაცულ სიკეთეს თუ არა.³⁹

უპირატესად სიმბოლური დატვირთვის მქონე სისხლის სამართლის მაგალითად გერმანიაში აღიარებულია ნაცისტური მმართველობის დროს ჩადენილი საერთაშორისო სამართლის დანაშაულების სატარო მხარდაჭერა, უარყოფა ან/და მნიშვნელობის შესუსტება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს საზოგადოებრივი სიმშვიდის შეწუხება. ერთი შეხედვით, ასეთი პოზიციის მხოლოდ გამოხატვა არ უშლის ხელს საზოგადოების მშვიდობიან თანაცხოვრებას.⁴⁰ თუმცა, ამ შემთხვევაში ქმედების კრიმინალიზება შესაძლოა აიხსნას გერმანიის ტრაგიკული ისტორიული გამოცდილებით და გამართლებული იყოს ჰოლოკოსტის დაგმობისა და მომავალში მსგავსი მოვლენების თავიდან აცილების მიზნით. განსახილველ შემთხვევაში კი, გაუგებარია რა მსგავს მიზანს შეიძლება ემსახურებოდეს ნარკოტიკების მომხმარებლების მხოლოდ სიმბოლურად, სისხლისსამართლებრივი პრინციპების უგულვებელყოფით დასჯა. ნარკოტიკების მოხმარება საქართველოში ნამდვილად აღწევს პრობლემურ მასშტაბებს და, შესაბამისად, საჭიროებს სახელმწიფოს ჩარევას. თუმცა, მხოლოდ რაიმე მოვლენის საზოგადოებაში ფართოდ გავრცელება, თუკი ის არ წარმოშობს კონკრეტულ საფრთხეებს საზოგადოების უსაფრთხოების ან სხვა სამართლებრივი სიკეთეების მიმართ, არ არის საკმარისი სახელმწიფოს მიერ „უმკაცრესი მახვილის გამოყენებისთვის“ საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ.

როგორც აღინიშნა, წინამდებარე ნაშრომში გამოხატული პოზიცია მხარს უჭერს ნარკოტიკებით მოვაჭრეთათვის

სისხლისსამართლებრივი დასჯადობის შენარჩუნებას. წამოჭრილი დისკუსიისათვის საინტერესოა იმ საკითხის განმარტება, თუ რომელი სამართლებრივი სიკეთეზიანდება ნარკოტიკებით ვაჭრობის შემთხვევაში. ნარკოტიკების გამსაღებელთა უკანონო ქმედების უშუალო შედეგი არის იმ პირის ჯანმრთელობის ან სიცოცხლის ხელყოფა, რომლებიც მოვაჭრეებისგან ყიდულობენ და შემდგომ მოიხმარენ ამ ნარკოტიკულ საშუალებებს.⁴¹ აქედან გამომდინარე, ნარკოტიკის მოხმარების კრიმინალიზაციის პირობებში, ვიღებთ ისეთ პარადოქსულ მდგომარეობას, როდესაც ნარკოტიკის მომხმარებელი ერთდროულად დანაშაულის ამსრულებელიცაა და დანაშაულის მსხვერპლიც. მომხმარებელს ეს ორი სტატუსი ერთდროულად შეიძლება ჰქონდეს, მაგალითად, ნარკოტიკების შეძენასთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ იგი წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალებაზე ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად დამოკიდებულ ავადმყოფს, მის მიერ ნარკოტიკების მოხმარებისათვის პასუხისმგებლობაც უნდა დაეკისროს ნარკოტიკებით უკანონოდ მოვაჭრეს.

3. ნარკოტიკების მოხმარების დასჯადობის შესაბამისობა სასჯელის მიზნებთან

„იმისათვის, რომ კონკრეტული სასჯელის არსებობა გამართლებული იყოს სამართლებრივ სახელმწიფოში, ის, თავად სასჯელის მიზნების მიღწევის ადეკვატური საშუალება უნდა იყოს. ადამიანის დასჯა სასჯელის მიზნების მიღმა, ამ მიზნების მიღწევის აუცილებლობის გარეშე ან მათ არაადეკვატურად, თავად დასჯას აქცევს სახელმწიფოს მიზნად, შედეგად არარად აქცევს სამართლებრივი სახელმწიფოს იდეას.“⁴² საკონსტიტუციო სასამართლოს აღნიშნული მსჯელობა ადგენს

39 Lauterwein C., დასახელებული ნაშრომი, p. 14.

40 Lauterwein C., დასახელებული ნაშრომი, p. 15.

41 თოდუა ნ./გოგშელიძე რ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 9.

42 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პარა. 40.

სამართლებრივი სახელმწიფოს მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის მიხედვითაც ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზება მხოლოდ იმ შემთხვევაშია მიზანშეწონილი, თუ ამით მიიღწევა სასჯელის მიზნები. ირაკლი დვალიძე აღნიშნავს „თუკი ჩვენ ვთანხმდებით იმაზე, რომ სასჯელის დანიშვნის საფუძველი დანაშაულია, .. მაშინ ჩვენ სასჯელს მიზნებიც უნდა განვუსაზღვროთ. წინააღმდეგ შემთხვევაში სასჯელის დანიშვნა მხოლოდ თვითმიზანი იქნება, რაც სამართლებრივ სახელმწიფოში სისხლის სამართლის ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ დააყენებს.“⁴³ სსკ-ის 39.1 მუხლის მიხედვით სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. განვიხილოთ რამდენად ემსახურება ნარკოტიკის მოხმარებისათვის სასჯელის დაწესება ამ მიზნების მიღწევას.

სამართლიანობის აღდგენა, როგორც სასჯელის მიზანი, არის სასჯელის აბსოლუტური თეორიების მთავარი პოსტულატი, რომელიც ეყრდნობა ჩადენილი დანაშაულისათვის სამაგიეროს მიზლის, დანაშაულის გამოსყიდვის და სამართლიანობის აღდგენის (კომპენსირების) იდეას.⁴⁴ ირაკლი დვალიძე სამართლიანობის აღდგენის ისეთ გაგებას გვთავაზობს, რომლის მიხედვითაც აუცილებელია ორი მხარის, დანაშაულის ჩამდენისა და დაზარალებულის არსებობა.⁴⁵ ნარკოტიკების მომხმარებლის სისხლის სამართლებრივი დასჯით ვერ მიიღწევა სამართლიანობის აღდგენა, ვინაიდან, როგორც წინა ქვეთავში განვითარებული მსჯელობა გვიჩვენებს, პრობლემურია იმ სამართლებრივი სიკეთის გამოკვეთა, რომელსაც ის აზიანებს, შესაბამისად,

არ გვყავს დაზარალებული. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის გაბატონებულია სასჯელის შემაერთებელი თეორია, რომელიც სასჯელის დაკისრებისას სამივე მიზნის შესრულებას ისახავს მიზნად. ამას ადასტურებს სსკ-ის 39 მუხლში კუმულაციური, „და“ კავშირის გამოყენება სასჯელის მიზნებს შორის. შესაბამისად, დაუშვებელია სასჯელის მიზანს წარმოადგენდეს მხოლოდ დამხოლოდ სამაგიეროს მიზლად დამნაშვისთვის. საკონსტიტუციო სასამართლოს მართებული მოსაზრებით: „სამართლებრივ სახელმწიფოში კანონზომიერია მოლოდინი, რომ სასჯელი, თავისი შინაარსით გასცდება შურისძიების პრიმიტიულ სურვილს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო სამართალთან და რომელიც ობიექტურად ვერ შეუწყობს ხელს ვერც ადამიანების დაცულობას, ვერც დანაშაულის შემცირებას და ვერც დამნაშავე პირის რესოციალიზაციას.“⁴⁶

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 116.1 მუხლის მიხედვით, მსჯავრდებულის **რესოციალიზაცია** არის მსჯავრდებულში საზოგადოების, სხვა ადამიანების, ზნეობის ნორმებისა და ადამიანთა თანაცხოვრების დამკვიდრებული წესებისადმი პატივისცემისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, „რესოციალიზაციის მიზანი გულისხმობს სასჯელის მეშვეობით დამნაშავის საზოგადოებაში საყოველთაოდ აღიარებული თანაცხოვრების წესებისადმი შეგუებას, სასჯელის მოხდის შედეგად საზოგადოებაში ჩამოყალიბებული მართლზომიერი ქცევის წესებისა და პირობებისადმი პირის ადაპტაციას.“⁴⁷ მორის შალიკაშვილი აღნიშნავს, რომ საზოგადოებას დიდი ინტერესი აქვს მსჯავრდებულის რესოციალიზაციისა, ვინაიდან რესოციალიზებული მსჯავრდებული აღარ ჩაიდენს დანაშა-

43 დვალიძე ი., 2013. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სასჯელი და დანაშაულის სხვა სისხლისსამართლებრივი შედეგები, „მერიდიანი“, თბილისი, გვ. 15.

44 მჭედლიშვილი-ჭედრიხი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 14.

45 დვალიძე ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 26.

46 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პარა. 43.

47 იქვე, პარა. 47.

ულს, არარესოციალიზებული მსჯავრდებული არის სახელმწიფოსთვის ადამიანური რესურსის დაკარგვა, არარესოციალიზებულ მსჯავრდებულთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში სახელმწიფო იძულებული იქნება ლიბერალურიდან გადავიდეს მკაცრ კრიმინალურ პოლიტიკაზე.⁴⁸ არასათანადო რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის შემთხვევაში ნასამართლობის ნიშნით „დაღდასმულის“ საზოგადოებისგან გარიყვას, მის გაუცხოებას ხელს უწყობს თვით საზოგადოებაც, რომელიც ერიდება მასთან ურთიერთობას (მაგალითად, სამუშაოზე მიღება, მეგობრული ურთიერთობა და ა.შ.).⁴⁹

ნარკოტიკის მომხმარებლისთვის სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესებით მისი რესოციალიზაცია ვერ მიიღწევა. დამტკიცებულია რომ სისხლისსამართლებრივი სასჯელი მცირე მნიშვნელობის დანაშაულის ჩადენისათვის იძლევა საპირისპირო შედეგს რეაბილიტაციის თვალსაზრისით,⁵⁰ შემდეგი მიზეზების გამო:

- **არ ხდება სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოხვედრილი ნარკოტიკების მომხმარებლის მკურნალობა.** ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირის სოციალური რეინტეგრაციისათვის აუცილებელია აღმოიფხვრას ის საფუძველი, რამაც გამოიწვია მისი ანთისოციალური ქცევა, შესაბამისად, აუცილებელია მისი მკურნალობა. ნარკოტიკებზე დამოკიდებული პირის სათანადო მკურნალობა კი ციხის პირობებში შეუძლებელია მხოლოდ შეზღუდულად იქნას რეალიზებული იქ არსებული კრიმინალური გარემოსა თუ მკურნალობის მოტივაციის არარსებობის გამო, რაც შეიძლება

გამოწვეული იყოს თავისუფლების აღკვეთის თანმდევი ნეგატიური ფსიქოლოგიური განცდებით. ბევრ ქვეყანაში, იმის მიუხედავად, რომ ციხის პოპულაციის დიდ ნაწილს ნარკოტიკების მომხმარებლები შეადგენენ, ციხის სისტემას არ გააჩნია სათანადო მკურნალობისა და რეაბილიტაციის პროგრამები.⁵¹ თავისუფლებააღკვეთილი ნარკოტიკების მომხმარებელთათვის მკურნალობისა და თერაპიის შეთავაზება ნაკლებ სავარაუდოა ასევე დაპატიმრების გაზრდილი ხარჯებისა და ციხეების გადატვირთულობის გამო.⁵²

- **ციხეში მოხვედრის შემთხვევაში, იგი ეცნობა კრიმინალურ სამყაროს და ხდება მისი ნაწილი.** პატიმართა სუბკულტურა, როგორც მსჯავრდებულთა „მმართველობის ორგანო“, ციხის „ტოტალური ინსტიტუციურობის“ პირობებში გარე სამყაროსგან დამოუკიდებელი, მნიშვნელოვნად დახვეწილი კრიმინალური ჯგუფია.⁵³ საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ პირის სასჯელალსრულების დაწესებულებაში მოთავსებით „შესაძლოა, სწორედაც რომ საწინააღმდეგო შედეგი დადგეს: პატიმრობის შედეგად პირის საზოგადოებაში ნორმალური ცხოვრების წესისა და უნარისგან კიდევ უფრო მეტი დისტანცირება მოხდეს.“⁵⁴ ციხის გარემოს წინაშე აღმოჩენა ხელს უწყობს პირის სხვა კრიმინალებთან, კრიმინალურ დაჯგუფებებთან და ორგანიზაციებთან გაერთიანებას. ეს იწვევს პირის სტიგმატიზებას

48 შალიკაშვილი მ./მიქანაძე გ./ხასია მ., 2014. სასჯელალსრულების სამართალი, „იურისტების სამყარო“, თბილისი, გვ. 67-68.
 49 დვალაძე ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 30.
 50 UNODC, 2007, Handbook of Basic Principles and Promising Practices on Alternatives to Imprisonment, Criminal Justice Handbook Series, New York, p. 3.

51 UNODC, From Coercion to Cohesion, p. 3.
 52 Stevenson B., 2011, DRUG POLICY, CRIMINAL JUSTICE AND MASS IMPRISONMENT, Working Paper Prepared for the First Meeting of the Commission, Geneva, p. 2.
 53 შალიკაშვილი მ./მიქანაძე გ./ხასია მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 401.
 54 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პარა. 47.

და კრიმინალური იდენტობის ჩამოყალიბებას.⁵⁵ არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ იმ პირებისთვის, რომლებსაც არ ჩაუდენიათ ძალადობრივი დანაშაული, თავისუფლების აღკვეთა, როგორც წესი, უფრო მეტად საზიანოა, ვიდრე სასარგებლო.⁵⁶ ამასთან, ციხეში მათ შეუძლიათ შეისწავლონ ნარკოტიკის მოპოვების ახალი გზები და საშუალებები.

- **ხდება მისი დამნაშავედ სტიგმატიზაცია.** ერთ-ერთ ყველაზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ციხიდან გამოსული ადამიანის დამნაშავედ ეტიკეტირების პრობლემა, რაც ხდება საზოგადოების მიერ მისთვის დამნაშავის იარლიყის მიკერებით სასჯელსრულების დაწესებულებაში ყოფნის ან მის მიმართ სიხლის სამართლის პროცესის წარმოების გამო. დროთა განმავლობაში ეტიკეტირების მხრიდან ხდება დამნაშავის იარლიყის მორგება და გამართლება, რაც განმეორებითი დანაშაულის ჩადენაში ვლინდება.⁵⁷ განსხვავებით კრიმინალურ სუბკულტურასთან შერწყმის პრობლემისაგან, პირის დამნაშავედ ეტიკეტირების პრობლემა რელევანტურია არამხოლოდ თავისუფლების აღკვეთის, არამედ სასჯელის სხვა სახეების გამოყენების დროსაც. პირის დამნაშავედ სტიგმატიზაცია უკვე ხდება მისი მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრიდან. ხშირ შემთხვევაში, იმის მიუხედავად თუ რა საბოლოო გადაწყვეტილება მიიღება სისხლის სამართლის საქმეზე, საზოგადოებაში

უკვე ჩნდება განსაზღვრული უარყოფითი დამოკიდებულება ბრალდებული პირის მიმართ. ნასამართლობას შესაძლოა ჰქონდეს უამრავი ნეგატიური „გვერდითი ეფექტი“, რომელიც გავლენას ახდენს პირის დასაქმებაზე, განათლებაზე, საცხოვრებელის ქონასა და ოჯახურ ცხოვრებაზე.⁵⁸ „ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნარკოტიკული საშუალების მომხმარებელს ჩამოერთმევა მთელი რიგი უფლებები.⁵⁹ ასეთი რეგულირება კიდევ უფრო აუარესებს ნარკოტიკული დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პირთა სამართლებრივ მდგომარეობას. ნარკოტიკის მოხმარება არ უნდა აღიქმებოდეს პერსონალურ ნაკლად და პიროვნების სოციალური სტატუსი ამით არ უნდა ილახებოდეს.⁶⁰ ამის საპირისპიროდ, დეკრიმინალიზაციის პირობებში შესაძლებელია მომხმარებლის ადმინისტრაციულ სამართლებრივი პროცესი, ისევე როგორც მისი მკურნალობა წარიმართოს ისეთ პირობებში, რომელშიც დაცული იქნება პირის ანონიმურობა.⁶¹ იმ

55 UNODC, From Coercion to Cohesion, p. 3.

56 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2014, არაეთიკური ნარკოპოლიტიკა, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზი, თბილისი, გვ. 22.

57 შალიკაშვილი მ./მიქანაძე გ./ხასია მ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 473.

58 GLOBAL COMMISSION ON DRUG POLICY, 2016. Advanced Drug Policy Reform: A New Approach to Drug Decriminalization, Report, p. 17. მაგალითისთვის, ამერიკაში ნარკოტიკების ფლობისთვის მსჯავრდებულებს ერთმევათ ნაფიც მსაჯულთა სასამართლოში მონაწილეობის უფლება, პასიური საარჩევნო უფლებები, საზოგადოებრივი საცხოვრებელიდან გამოსახლება, უმაღლესი განათლების დაფინანსებაზე უარი, მართვის მონუმბის ჩამორთმევა ან მოქმედების შეჩერება, დეპორტაცია ან ზოგიერთ შემთხვევაში მათი ოჯახებისგან იზოლაცია, ზოგიერთი სახის სამუშაოზე დასაქმების უფლების ჩამორთმევა. გამოთვლილია, რომ დიდ ბრიტანეთში კანაფის ფლობისთვის ნასამართლობამ შესაძლოა 19 პროცენტით შეამციროს ადამიანის შრომისუნარობა.

59 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), დასახელებული ნაშრომი, გვ. 18.

60 იქვე, 19.

61 Greenwald G., დასახელებული ნაშრომი, p. 6. მაგალითად, პორტუგალიელი და ევროპელი პოლიტიკოსები აღნიშნავენ რომ, პორტუგალიური მიდგომის მთავარი მიზანია სისხლის სამართლის პროცესების დროს წარმოშობილი სტიგმის არიდება. ამ მოდელით გათვალისწინე-

ერებშიც კი, სადაც ნარკოტიკის მომხმარებლები, როგორც წესი, არ ისტებიან თავისუფლების აღკვეთით (მაგალითად, ესპანეთი), სტიგმა და დამნაშავედ აღიარების ტვირთი მაინც არსებობს.⁶²

დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ სასჯელის გამოყენება ფსიქოლოგიურად აკავებს პირს კვლავ არ ჩაიდინოს დანაშაული. ესაა სასჯელის **სპეციალური პრევენცია**,⁶³ რომელიც მოცემულია სსკ-ის 39.2 მუხლით.⁶⁴ „ცხადია, სასჯელი არ არის პირის მიერ მომავალში დანაშაულის ჩადენის გამორიცხვის აბსოლუტური გარანტია. ვერ ვიტყვით რომ დამნაშავეს სასჯელის შიში გაუძლიერდება, თუ ის უკვე დასჯილია. შეიძლება პირიქითაც მოხდეს.“⁶⁵ – ვკითხულობთ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. კვლევები და სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ნარკოტიკული დანაშაულის შემთხვევაში მომხმარებელთა რეციდივიზმი ძალიან მაღალია. თავისუფლების აღკვეთა ან სხვა სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება ვერ უზრუნველყოფს კერძო პრევენციის მიზანს, ვინაიდან უმეტეს შემთხვევაში მომხმარებლები აგრძელებენ ნარკოტიკების მიღებას. მკაცრი სასჯელი არაეფექტურია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება წამალდამოკიდებულ მსჯავრდებულს, რომელსაც სახელმწიფოს მხრიდან ესაჭიროება დახმარება და არა დასჯა. 2008 წლის მონაცემებით, საქართველოში ნარკოტიკების უკანონო მოხმარებისთვის მსჯავრდებულ პირთა 89%-მა სასჯელის მოხდისთანავე განაახლა ნარკოტიკის უკანონო მიღება, დანარჩენი

11% კი თერთმეტ თვეში მიუბრუნდა მოხმარებას. აღნიშნული სტატისტიკა ცხადყოფს, რომ მხოლოდ მკაცრი სასჯელები პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი არაა.⁶⁶

ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზების მომხრეთა მოსაზრებით, სისხლისსამართლებრივი სასჯელის დაწესების გზით ხდება საზოგადოების ფართო მასებზე ზემოქმედება და ამ გზით ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გავრცელების თავიდან არიდება. ზოგადად, გენერალური პრევენცია მართლაც არის მნიშვნელოვანი მექანიზმი დამნაშავეობასთან საბრძოლველად. თუმცა, არ შეიძლება სასჯელის მიზანი იყოს მხოლოდ გენერალური პრევენცია, ვინაიდან ცალკეული დამნაშავე ამ თეორიით სახელმწიფოებრივი ქმედების ობიექტად იქცევა, რაც ადამიანის ღირსებას ხელყოფს. ამასთანავე არაა დასაბუთებული, რომ დამნაშავეს დასჯა პოტენციურ დამნაშავეზე რაიმე შემაშინებელ ზემოქმედებას ახდენს, რადგან მრავალი (განსაკუთრებით კი ძალადობასთან დაკავშირებული) დანაშაული ყოველგვარი რაციონალური გააზრების გარეშე ხდება.⁶⁷ საკონსტიტუციო სასამართლოს გასაზიარებელი მსჯელობის მიხედვით: „სახელმწიფომ არ შეიძლება პირი დასაჯოს მხოლოდ იმის გამო, რომ სხვამ არ ჩაიდინოს იგივე ქმედება.. .. ასეთი მიდგომით ადამიანი გადაიქცევა სახელმწიფოს ხელში საზოგადოების „დაშინების იარაღად“, .. რაც გამორიცხულია და დაუშვებელი სამართლებრივ სახელმწიფოში.“⁶⁸

ბული ადმინისტრაციული სამართალწარმოების ყოველი ეტაპი ისეა რეგულირებული, რომ გამოირიცხოს „დამნაშავეობის“ ცნება და აქცენტი იყოს ვაკეთებელი სამედიცინო და სამკურნალო ასპექტებზე.
62 Greenwald G., დასახელებული ნაშრომი, პ. 9.
63 დვალიძე ი., დასახელებული ნაშრომი, გვ. 29.
64 სსკ 39-ე მუხლის მე-2 ნაწილი: სასჯელის მიზანი ხორციელდება მსჯავრდებულსა და სხვა პირზე ზემოქმედებით, რათა ისინი განიმსჯვალონ მართლწესრიგის დაცვისა და კანონის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობით.
65 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პარა. 49.

66 ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), გვ. 22; Chandler, Redonna K./Fletcher, Bennett W./ Volkow, Nora D., 2009. Treating Drug Abuse and Addiction in the Criminal Justice System: Improving Public Health and Safety, p. 2. ნარკოტიკების მომხმარებელთა თავისუფლების აღკვეთის არაადეკვატრობაზე მიანიშნებს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული სიტუაცია. რეციდივიზმის შესახებ კვლევამ 15 შტატში აჩვენა, რომ გათავისუფლებულ მომხმარებელთა ერთი მესამედი კვლავ დაბრუნდა ციხეში 3 წლის განმავლობაში.
67 მჭედლიშვილი-ჰედრიხი ქ., დასახელებული ნაშრომი, გვ. 16.
68 საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, პარა. 52.

დასკვნა

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნარკოტიკების მოხმარება არ იწვევს სხვა ადამიანების ან საზოგადოების ინდივიდუალური და საყოველთაო სამართლებრივი სიკეთეების ხელყოფას და შესაბამისად ვერ აღწევს განსაკუთრებული სოციალური საშიშროების სტანდარტს, რომელიც აუცილებელია ამა თუ იმ ქმედებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებისათვის. ისეთი ქმედების კრიმინალიზებით, რომლის ჩამდენი ზიანს აყენებს მხოლოდდამხოლოდ საკუთარ სამართლებრივ სიკეთეს, კანონმდებელი ხელყოფს ადამიანის თვითგამორკვევის ძირითად უფლებას. ნარკოტიკების მოხმარების კრიმინალიზება არ არის გამართლებული ასევე საზოგადოებაში არსებული რაიმე დიდმასშტაბიანი და მაღალი საშიშროების მქონე მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნებითაც, ვინაიდან ნარკოტიკების მოხმარება, მიუხედავად მისი მკვეთრად უარყოფითი ხასიათისა, არ არის მაღალი სოციალური საშიშროების შემცველი მოვლენა; გარდა ამისა, ასეთ შემთხვევაში ნარკოტიკის მოხმარებელი გვევლინება სახელმწიფოს მიერ რაიმე მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის შიშველ იარაღად, რაც გაუმართლებელია სამართლებრივი და სოციალური სახელმწიფოს პრინციპის, ასევე ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნებიდან გამომდინარე.

ისეთი ქმედებისათვის სისხლის-სამართლებრივი სასჯელის დაწესება, რომლითაც პირი აზიანებს მხოლოდ საკუთარ სიცოცხლეს, ხელყოფს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ძირითად უფლებასაც, რომელიც განმტკიცებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით⁶⁹, ასევე მრავალი ადამიანის უფლებათა

საერთაშორისო ხელშეკრულებით.⁷⁰ პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა არის პერსონალური ავტონომიისა და ადამიანის ღირსების საძირკველი. სახელმწიფოს ამ უფლებაში ჩარევა შეუძლია მხოლოდ ლეგიტიმური მიზნის არსებობისას, აუცილებლობისა და პროპორციულობის სტანდარტის დაცვით. იმ ადამიანებისთვის სისხლის სამართლებრივი სასჯელის დაწესება, რომელსაც არ მოაქვს ზიანი სხვებისთვის არ შეიძლება იყოს აუცილებელი ან პროპორციული, შესაბამისად ვერ იქნება გამართლებული. აქედან გამომდინარე, ასეთი ჩარევა არღვევს პირადი ცხოვრების, პერსონალური ავტონომიის უფლებებსა და ადამიანის ღირსებას.⁷¹ გარდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსი, სხვა ქვეყნის უზენაესი და საკონსტიტუციო სასამართლოების მიერ ასევე იქნა დადგენილი რომ მოხმარებლისთვის სასჯელის დაწესება წარმოადგენს ადამიანის ღირსებაში ჩარევას.⁷²

70 მაგ. 1948 წლის ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (მუხლი 12) და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (მუხლი 17). <<http://www.parliament.ge/uploads/other/76/76808.pdf>> <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>>

71 GLOBAL COMMISSION ON DRUG POLICY, დასახელებული ნაშრომი, p. 11.

72 იქვე. მაგალითად, 2015 წელს მექსიკის უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ აღმინისტრაციული სახელელების სისტემა კანაფის რეკრეაციული მოხმარებისათვის იყო არაკონსტიტუციური იმ საფუძველით, რომ წარმოადგენდა ადამიანის ღირსებაში, განსაკუთრებით კი პიროვნების თავისუფალ განვითარებაში არაპროპორციულ ჩარევას. ჩილეს, ესპანეთის, კოლუმბიისა და არგენტინის სასამართლოებმა ასევე დაადგინეს, რომ ნარკოტიკების პირადი მოხმარება არ უნდა ექვემდებარებოდეს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე სანქციას. ჩილეს სასამართლომ, მაგალითად, სწორად მიიჩნია კანონმდებლის გადაწყვეტილება სანქციიდან გამონაკლისის დაშვებისა პირადი მოხმარებისათვის, დაადგინა რა, რომ ეს იყო შესაბამისი პიროვნების ავტონომიის უფლებასთან, რომელიც აძლევს ადამიანებს თავისუფლებას განკარგონ.

69 საქართველოს კონსტიტუციის მე-20 მუხლის 1-ლი ნაწილი: ყოველი ადამიანის პირადი ცხოვრება, პირადი საქმიანობის ადგილი, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, საუბარი სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებებით, აგრეთვე ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებანი ხელშეუხებელია. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>>

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია (ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>).
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი (ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>).
3. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (ხელმისაწვდომია აქ: <http://www.parliament.ge/uploads/other/76/76808.pdf>).
4. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი (ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>).
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება №1/4/592 საქმეზე „საქართველოს საკონსტიტუციოს სასამართლოს გადაწყვეტილება საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრის მერაბ ტურავას განსხვავებული აზრი“.

მარიამ ბეჟანიშვილი

INCONSISTANCE OF CRIMINALISING DRUG CONSUMPTION TO CRIMINAL LAW PRINCIPLES

Mariam Bezhanishvili

*Master of Law at Ivane Javakhishvili Tbilisi State
University*

*Specialist, International Relations Division, Legal
Support Department, Office of the Chief Prosecutor
of Georgia*

KEY WORDS: Decriminalization, Policy, Sanctions

RESUME

This article discusses the legitimacy of criminalizing drug consumption from the perspective of criminal law principles. It supports the idea of decriminalizing consumption of drugs, as far as this action does not reach the threshold of extraordinary dangerous social activity, necessary for certain action to qualify as crime. This standard is not met predominantly because drug addicts or mere consumers do not violate any legal interest of other persons or society that can be object of criminal law protection. The act of drug consumption is directed solely against the consumer itself, hence, falls short to be determined as action threatening legal interests of others. The abstract danger of possible commission of other crimes (mainly economic or transport related) in the future is not sufficient for establishing necessary preconditions of criminal liability, such as: action or danger that is directed to inducing instant results, causality between drug consumption and hypothetical commission of crime in the future, existence of simultaneous intention. Establishment of criminal liability for drug consumption cannot be justified by violation of moral rules of society or by serving a symbolic meaning either. The Fighting against drug consumption through criminal justice is further inappropriate due to the aims of criminal sanctions – restoration of justice, prevention of crime and resocialization of offender cannot be achieved by holding drug addict, who needs nothing more than appropriate treatment.

NOTES:

1. World Health Organisation, International Classification of Diseases, 10th Edition, Geneva, 2010. (In English)
2. Todua, N., 2016. Criminalisation-Decriminalisation issues according to Georgian Criminal Legislation, Tendencies of Criminal Law Liberalisation in Georgian Law, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
3. Gamkrelidze, O., 2013. Criminal Law Problems, Volume III, State and Law Institute of Tinatin Tsereteli, "Meridiani", Tbilisi.; Turava, M., 2013. Criminal Law, General part, 9th edition "Meridiani", Tbilisi.; Wessels, J./Boilke, V., 2010. General Part of Criminal Law, Crime and its Composition, Tbilisi State University. (In Georgian)
4. Turava, M., 2011. Criminal Law, General part, Theory of Crime, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
5. Tskitishvili, T., 2015. Crimes threatening Life and health of Persons, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
6. Todua, N./Gogshelidze, R., 2004. Drug Criminality, Volume II, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
7. Lauterwein, Carl Constantin, The Limits of Criminal Law: A comparative Analyses of Approaches to Legal Theorizing, University of Munich, Germany, 2016. (In English)
8. Todua, N./Gogshelidze, R., 2004. Drug Criminality, Volume II, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
9. Beka Tsikarishvili v Parliament of Georgia, Decision of Constitutional Court of Georgia №1/4/592, October 24, 2015. (In Georgian)
10. Turava, M., 2013. Criminal Law, General part, 9th edition "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
11. Wessels, J./Boilke, V., 2010. General Part of Criminal Law, Crime and its Composition, Tbilisi State University. (In Georgian)
12. Ibid.
13. Wessels, J./Boilke, V., 2010. General Part of Criminal Law, Crime and its Composition, Tbilisi State University. (In Georgian)
14. Tskitishvili, T., 2015. Crimes threatening Life and health of Persons, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
15. Lauterwein, Carl Constantin, The Limits of Criminal Law: A comparative Analyses of Approaches to Legal Theorizing, University of Munich, Germany, 2016. (In English)
16. Tskitishvili, T., 2015. Crimes threatening Life and health of Persons, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
17. UNODC, From Coercion to Cohesion, Treating Drug Dependence through Health Care, not Punishment, Discussion Paper based on a Scientific Workshop, Vienna, 2009. (In English)
18. UNODC, WHO, Scientific Consultation on Prevention of Drug Use and Treatment of Drug Use Disorders, Vienna International Centre, 2015. (In English)
19. Mtschedlishvili-Hedrich, K., 2014. General Part of Criminal Law I, Crime, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
20. Wessels, J./Boilke, V., 2010. General Part of Criminal Law, Crime and its Composition, Tbilisi State University. (In Georgian)
21. Ibid.
22. Mtschedlishvili-Hedrich, K., 2014. General Part of Criminal Law I, Crime, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
23. Dvalidze, I., 2013. General Part of Criminal Law, Sanction and other Consequences of Crime, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
24. Shalikashvili, M./Mikanadze, G./Khasia, M., 2014. Penitentiary

- Law, "World of Lawyers", Tbilisi. (In Georgian)
25. Dvalidze, I., 2013. General Part of Criminal Law, Sanction and other Consequences of Crime, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
 26. UNODC, Handbook of Basic Principles and Promising Practices on Alternatives to Imprisonment, Criminal Justice Handbook Series, New York, 2007. (In English)
 27. UNODC, From Coercion to Cohesion, Treating Drug Dependence through Health Care, not Punishment, Discussion Paper based on a Scientific Workshop, Vienna, 2009. (In English)
 28. Stevenson, Bryan, DRUG POLICY, CRIMINAL JUSTICE AND MASS IMPRISONMENT, Working Paper Prepared for the First Meeting of the Commission, Geneva, 24-25 January 2011. (In English)
 29. Shalikashvili, M./Mikanadze, G./Khasia, M., 2014. Penitentiary Law, "World of Lawyers", Tbilisi. (In Georgian)
 30. UNODC, From Coercion to Cohesion, Treating Drug Dependence through Health Care, not Punishment, Discussion Paper based on a Scientific Workshop, Vienna, 2009. (In English)
 31. Non-ethical Drug Policy, Analyses of National Legislation and Practice, Educational and Monitoring Center of Human Rights, Tbilisi. 2014. (In Georgian)
 32. Advanced Drug Policy Reform: A New Approach to Drug Decriminalization, GLOBAL COMMISSION ON DRUG POLICY, Report, 2016. (In English)
 33. Non-ethical Drug Policy, Analyses of National Legislation and Practice, Educational and Monitoring Center of Human Rights, Tbilisi, 2014. (In Georgian)
 34. Ibid.
 35. Greenwald, Glenn, Drug Decriminalization in Portugal, Lessons for Creating Fair and Successful Drug Policies, CATO Institute, Washington, D.C., 2009. (In English)
 36. Ibid.
 37. Dvalidze, I., General Part of Criminal Law, Sanction and other Consequences of Crime, "Meridiani", Tbilisi, 2013. (In Georgian)
 38. Chandler, Redonna K./Fletcher, Bennett W./ Volkow, Nora D., 2009. Treating Drug Abuse and Addiction in the Criminal Justice System: Improving Public Health and Safety. (In English)
 39. Mtschedlishvili-Hedrich, K., 2014. General Part of Criminal Law I, Crime, "Meridiani", Tbilisi. (In Georgian)
 40. GLOBAL COMMISSION ON DRUG POLICY, A New Approach to Drug Decriminalization, 2016, 11. (In English)

BIBLIOGRAPHY:

1. Constitution of Georgia (Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/30346>). (In Georgian)
2. Criminal Code of Georgia (Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/16426>). (In Georgian)
3. Universal Declaration of Human Rights (Available at: <http://www.parliament.ge/uploads/other/76/76808.pdf>). (In Georgian)
4. International Covenant on Civil and Political Rights (Available at: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1398335>). (In Georgian)
5. Decision of Constitutional Court of Georgia on the Beka Tsikarishvili case, №1/4/592, October 24, 2015. (In Georgian)

ამ ჟურნალის ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ
იხილოთ ჟურნალის ვებგვერდზე: www.lawandworld.ge
ელ. ფოსტა: info@lawandworld.ge
გურამიშვილის გამზირი 76. თბილისი. 0141
ტელეფონი: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 177 573
ფაქსი: (+995 32) 2 143 583

The online version of the journal is available on the website:

www.lawandworld.ge

E-mail: info@lawandworld.ge

76 Guramishvili ave. Tbilisi. 0141

Phone: (+995 32) 2 000 171 (116); (+995 99) 177 573

Fax: (+995 32) 2 143 583